პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
K 49.667/3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გალაკტიონ
ტაბიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტალაკტიონ ტაბიძე

ლექსები

К49.667
3

საბჭოთა მწერალი
1953

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამომცემლობისაგან

საქართველოს სასაღსო პოეტის გალაკტიონ ტაბიძის წინამდებარე წიგნში შესული ლექსების უმრავლესობა დაწერილია ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ და ასახავს საბჭოთა სინამდვილეს; მგოსანი გულწრფელად უმღერის ამ დიდ რევოლუციას, რომელმაც ადამიანებს ასალი ცხოვრება მოუტანა, ჩვენი ქვეყნის გიგანტურ მშენებლობას, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის უდიდეს მიღწევებს, საბჭოთა სალსის გმირულ გამარჯვებას დიდ სამამულო ომში და ჩვენს მედნიერ ასალგაზრდობას. ეს ლექსები გამსჭვალულია საბჭოთა ქვეყნისადმი უდიდესი სიყვარულის გრძნობით. ამასთან ერთად, პოეტის მიერ განვლილი გზის ჩვენების მიზნით, კრებულში წარმოდგენილია საბჭოთა სელისუფლების დამყარებამდე დაწერილი ლექსებიც („მე და ღამე", „ცქმის ყვავილები", „მგზავრის სიმღერა", „შენ ზღვის პირად", „ღელავდნენ", „მიმღერე ტაბე" და სხვ.).

სპეც. ... ...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნახ. ა. ბანძელაძისა

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ჩემი ხემლერა

ზოგს ოქრომკედით მონაქსოვარი,
სურათი რამე, კარგზე მგლოვარი,
ზოგს ვარდი, წიგნში ჩანატოვარი —
ყველას რაიმე აქვს სახსოვარი.

ბარათი, სისხლის ცრემლ-ნატბოვარი,
ბეჭედი, ძვირფას ალთა მთოვარი,
საყურე, ტკბილის ჩრდილის მთხოვარი —
ყველას რაიმე აქვს სახსოვარი.

თმა, როგორც განძი ძნელსაშოვარი,
წიგნი რამ, ომით მონაპოვარი,
საფერფლე, მამის დანატოვარი —
ყველას რაიმე აქვს სახსოვარი.

სამშობლოვ, მარად მსასოვარი,
ჰა, ჩემი ჩანგი სწორუპოვარი,
ჰა, ჩემი გულიც, თანამგზოვარი —
ყველას რაიმე აქვს სახსოვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალგაზრდობას

ახალგაზრდა ახალ გზნებით
ხალხში უნდა ტრიალებდეს,
გრდემლსა სცემდეს და მინდვრადაც
მერანს მიაქრიალებდეს.

სადაც იგრძნობს უმართლობას —
შურისგებით იალებდეს,
კვლავაც რწმენის და სიმართლის
დროშას ააფრიალებდეს,

რომ ხელმარჯვედ მოქნეული
ომში ხმალი წკრიალებდეს,
რომ მტერს მისგან სასიკვდილოდ
ტანში გააჟრიალებდეს,

რომ მშვიდობის დროს წიგნებზე
ტყის ფოთლები შრიალებდეს,
რომ უხუცესთ მიმყოლი გზით
ახალს გააკრიალებდეს,

რომ სამშობლოს ერთგულების
ფიცის სიტყვა ბრიალებდეს
და სახალხო მგოსნის ჩანგიც
გამარჯვებით გრიალებდეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



მშობლიურო ჩემო მიწავ

სამი დიდი ოკეანე
    გარე უვლის ნათელ მხარეს,
მთვარიანი და მზიანი
    ზეცა აფრქვევს სიანკარეს.
ორ ზღვას შუა ძველისძველად
    საომარი იყო ლელო —
ის გადარჩა და სახელად
    ეწოდება — საქართველო.
მშობლიურო ჩემო მიწავ,
    შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,
რომ დავიცავ შენს სიმაღლეს,
    წინაპართა ძვლებს დავიცავ!

მიყვარს კავკასიის ქედი,
    ეს ამერი და იმერი,
მისი „ხელი ხმალს იკარ“ და
    მისი „მრავალჟამიერი“.
მიყვარს მრავალ ჭირნახული
    ის გურია და სვანეთი,
თუში, ფშავი და ხევსური,
    აჭარა და თრიალეთი.
მშობლიურო ჩემო მიწავ,
    შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,
რომ დავიცავ შენს უფლებას,
    შენს უფლებას სისხლით ვიცავ!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აღმოსავლეთ-დასავლეთის
    გზა ძიხვეულ-მოხვეული,
ხმა მეგრული, აფხაზური,
    ლაზური და მოხევური.
რამდენ ძარცვას, რამდენ რბევას
    გადაურჩა ქართლ-კახეთი!
შორით რაჭა-ლეჩხუმია,
    ახლო მესხეთ-ჯავახეთი.
მშობლიურო ჩემო მიწავ,
    შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,
რომ დავიცავ შენს ტკბილ ენას,
    შენს მშვენიერ ჩანგს დავიცავ!

აგერ წინამძღვრიანთ კარის
    ქარი არხევს ზვარის სამოსს
და ხავერდი სავსე მთვარის
    მოჰფენია საგურამოს.
დიდი გზებით მიდის ძველთა
    დიდება თუ დამარცხება,
გადმოგვყურებს ზაჰესის მზე
    და არაგვიც არა ცხრება.
მშობლიურო ჩემო მიწავ,
    შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,
რომ დავიცავ შენს სიმართლეს,
    სისხლით ნაპოვნ გზებს დავიცავ!

მიწა, სადაც ვხნავთ და ვთესავთ,
    მოკირწყლული იყო ძვლებით,
მოღაღადე უკეთესად,
    ვინემ უსახელო წლები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამ წარსულთან რა ძლიერი
ანათებს აქ დროის თვალი,
რარიგად სჩანს მშვენიერი
საქართველოს მომავალი!
მშობლიურო ჩემო მიწავ,
შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,
რომ დავიცავ იმ მომავალს,
იმ მომავლის მზეს დავიცავ!

და ხმალივით ბასრ იდეას
საქართველოს ახალ ხანის,
ჰგავდეს რკინის ნებისყოფა
თვითეული ჩვენთაგანის.
გამარჯვების გზებით მოდის
თვითეული დღე ფრთამალი,
რომ არ სჩანდეს კვლავ იმ დიდი
სიდუხჭირის ნატამალი.
მშობლიურო ჩემო მიწავ,
შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,
რომ დავიცავ შენს მიღწევებს,
შენი დროშის ფერს დავიცავ!

როსმე მეფე ფარნაოზი
იგონებდა ქართულ ანბანს
და წიგნები მოგვითხრობენ
გარდასულთა დროთა ამბავს.
მიყვარს ძველი წიგნების შლა,
მშვენიერი ძველი ენა,
სული ქართლის ცხოვრებისა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსთაველის აღმაფრენა.
მშობლიურო ჩემო მიწავ,
შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,
რომ დავიცავ უძველეს განძს,
იმ უძველეს წიგნს დავიცავ!

მიყვარს ძველი წიგნების შლა
მშვენიერი ძველი ენა,
კიდევ რაც ამ ოცი წელის
გაიშალა აღმაფრენა, —
რაც ამბავი მოფენილა —
რაც ამბავი აწყობილა —
სხვა მეოცე საუკუნე —
არასოდეს არ ყოფილა.
მშობლიურო ჩემო მიწავ,
შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,
რომ დავიცავ შენს ახალ გზებს,
შენს უახლეს წიგნს დავიცავ!

ეხლა ვერვინ ვეღარ გეტყვის,
საქართველო ნაწამებო,
იმერეთი ქართლს განუდგა,
საკუთარი სურს სამეფო,
ვერ წამოვა თემურ-ლენგის
იმნაირი ხმა და ზახი.
თბილისს ტახი რომ არბევდა —
ჯელალ-ედინ—ხორეზ-შაჰი.
მშობლიურო ჩემო მიწავ,
შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,
რომ დავიცავ შენს მშვიდობას,
შენს მშვენიერ მთებს დავიცავ!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქარმა მიანგრ-მოანგრია
ძველი ქვეყნის საბუდარი,
და გვაქვს უბედნიერესი
ჩვენი მხარე — საკუთარი.
მშობლიურო ჩემო მიწავ,
შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,
რომ დავიცავ ხალხთა ძმობას,
მეგობრობის ფიცს დავიცავ!

თუ მრავალგზის დანგრეული
დღეს ძლიერი გახდა მხარე
და მოედო სოფელს, ქალაქს
განახლების ნიაღვარი,
თუ გრიგალი მშენებლობის
ამეტყველებს თვით ქვა-ლოდებს —
ეგ მისთვის, რომ ჩვენ პარტია
ახალ გზისკენ მოგვიწოდებს.
მშობლიურო ჩემო მიწავ,
შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,
რომ დავიცავ შენს მიღწევებს,
შენი დროშის ფერს დავიცავ!

თუ ბუნების მოკვდავ კაცებს
გვიერთდება აღტაცება,
გვეუბნება, გაგვიტაცებს
მომავალის დიდი მცნება,
თუ ყოველი ახალი დღე —
ახალ სიმაგრეებს აგებს,
ეგ მისთვის, რომ ჩვენ სტალინი
მუდამ წინსვლას გვიქადაგებს.

მშობლიურო ჩემო მიწავ,
შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,
რომ დავიცავ შენს სიმაღლეს,
შენს მშვენიერ ჩანგს დავიცავ!

ჩვენი ქვეყნის მომავალი
საგანია ჩვენი ზრუნვის,
შენ შესძელი დაფასება
ჩვენი მძლავრი საუკუნის,
გაიარე სევდის მგვრელი
გზათა სივრცე და საზღვარი,
გადალახე ღამე ბნელი
და ბურუსი ყოველგვარი.
მშობლიურო ჩემო მიწავ,
შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,
გიცავდი და გიცავ მარად,
გიცავდი და კვლავ დაგიცავ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს ა მ შ ო ბ ლ ო ს

სამშობლოს წინსვლა
    გასაკვირველი,
მზის მხურვალება
    გარს რომ ავლია,
აი პირველი!
    აი პირველი —
რის სიყვარულიც
    მე მისწავლია.

შენს გამარჯვებას,
    ჩანგო, მოველი!
ოჰ, შენთან დღენი
    ჩემნი წარვლიან,
მედგარი ბრძოლა!
    აი ყოველი,
რის სიყვარულიც
    მე მისწავლია.

გავშლი ძვირფასი
    ლექსების კონებს:
რა სიუხვეა!
    რა სიმრავლეა!
გადამასწავლოს —
    ნურავინ ჰგონებს —
რის სიყვარულიც
    მე მისწავლია!



ლ ე ნ ი ნ ი

მღელვარება ღრღნის ქალაქის ქალას:
ჩავარდნილ თვალებს და ღია ბაღებს.
უძრავ ლენინით მრისხანე ძალას
სერავენ ზოდები —
დახურულ კარებს გრიგალი აღებს...
მახსოვს იმ დღეთა ტოლნი და სწორნი...
შფოთავს, საოცრად შფოთავს ვოლტორნი
და ფაგოტები...
ასეთ დროისას ვსვამ მე ფიალას!
მსგავსი ქარხნების დაბურულ კრთომის
გრიგალი ღრღნიდა ქალაქის ქალას...
იქ ავლენილი
ლენინი მსხვერპლი ბოროტი ტყვიის —
ორი ბოროტად ანთებულ ომის
და სამი მძაფრი რევოლუციის
დროშა — ლენინი.

დადგენ მედგარი მოიმედენი:
ოცნება თოვლში დაკარგულ ქოხის
და რკინის დროის გზაჯვარედინი.
პროლეტარიატი,
ეს გუგუნია მთელი ეპოქის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განწირულებით ის ეძებს ფერებს,
რომ მოეფინოს დაჩაგრულ ერებს
სითბო მარადი.

დახარეთ დაბლა დროშათ ბანაკი!
აქ ბევრი ბრძოლის გათავდა ვადა,
სტოვებს ბელადი და ამხანაგი
დევიზზე დევიზს:
გაქრა შიმშილი, მოკვდა ბლოკადა,
გათავდა ომი სამოქალაქო,
მაგრამ ახლოა დრო, ამხანაგო,
მსოფლიო ნგრევის...

* * *

მრავალჟამიერ
    გუგუნებდეს ხმა —
მუმლი მუხასა
    და ლილეოსი;
ეს გმირთა ჩვენთა
    არის სიმღერა —
ეს სიმღერაა
    საქართველოსი.

მოაპობს მკერდით
    ზღვას მეზღვაური,
გესმის არაგვის
    ხმა საცნაური?
გესმის თერგისა
    და მტკვრის ხმაური?
ეს სიმღერაა
    საქართველოსი.

თავისუფლების
    მოყვარე ერებს,
ვით ზღვას, ვერა-რა
    ვერ შეაჩერებს.
მთა რომ იმღერებს,
ტყე რომ იმღერებს,
ეს სიმღერაა
    საქართველოსი.

ეროვნული
ბიბლიოთეკ

აქ გამარჯვების
    დროშად სწერია:
სამშობლო ჩვენთვის
    ყველაფერია!
თუ რამ სიმღერა
    გულს უმღერია —
ეს სიმღერაა
    საქართველოსი.

გმირებით სავსე
    სამშობლო მხარეე,
დღეს გამარჯვების
    გულით მღელვარეე,
იდიდე, ამ ხმას
    სხვაში ვერ გარეე:
ეს სიმღერაა
    საქართველოსი.



მამულო, სიცოცხლეო!

სიცოცხლეო, მამულო! მძაფრი, არა ფარული,
შვილთა შენთა ხმამაღლა სთქვან შენი სიყვარული;
სიცოცხლეო, სამშობლოვ! მტერი დაუნდობელი,
რომ თვალს არ გაცილებდა—ვიყავ წინამგრძნობელი.
აი, როგორ მოხდა ეს: ირიჟრაჟა თუ არა —
ალისფერმა სინათლემ ღრუბლებს გადაუარა.
ტყეში, სადაც ვიდოდა ტყის მკაფავი მცინარე,
ველად, სადაც ბალებში ჩაფლულიყო მდინარე,
იყო დილა მშვიდობის და არ იყო ტკივილი,
ფრინველების გაისმა სტვენა, ჟივილ-ხივილი...
აფრიალდნენ საზღვარზე შავზე-შავი სვავები —
ყუმბართმტყორცნელები, მძიმე თვითმფრინავები,
სურთ რომ გადმოანგრიონ ხალხის ნახნავ-ნათესი,
ქალაქები, სოფლები, გზები უდიადესი.
იგი მტერი ჩვენი და მსოფლიოის მტერია,
მაგრამ მის უგონობას ბედი არ უწერია.
და ამაოდ ტანკები იძვრიან ყაჩაღებით,
ჩვენ მას უძლიერესი ცეცხლით დავეჯახებით!
რაკი მძლავრობს ხალხის ხმა და სტალინის გენია—
ვიცით, რომ საბოლოო გამარჯვება ჩვენია.

ს ტ ა ლ ი ნ ი

იყო მთლად შეუმოსავი
კაცობრიობის აკვანი,
იყო ერთ მუჭა ბრბოსადმი
მრავალთ-მრავალის თაყვანი.

იყო ბორკილი მონობის,
გზა უამური შრომისა,
იყო ცა უპატრონობის,
ვით ნისლი შემოდგომისა.

ადამიანმა დაჰკარგა
სიხარული და მზე ტკბილი,
ცხოვრებამ გადააქარგა
მწარეზე მწარე ღიმილი.

ბევრი დაღლილა ჯალათი
მებრძოლთ თავების წარკვეთით,
იყო ომი და ღალატი
და ყოფნა სასოწარკვეთით.

დღეს კი მსოფლიოს მეექვსედს —
ჩემს სამშობლოში სვიანი,
სხივმოსილი და მოლექსე
დამკვიდრდა ადამიანი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სტალინი ბელადია და
მეატვარი უდიადესი!
ხარტიით გაადიადა
გზა ნაჭედი და ნათესი!

ასწია დროშა მაღალი
კაცთა შრომის და გონების,
მსოფლიო აზრის, ძახილის,
მიღწევის, გამოგონების.

მიჰყავს — ვით სიმაღლეების
არწივთა ხმობა ალური —
ჩვენი უბადლო დღეების
მსვლელობა გენიალური.

ულევი — დროს ეუფლება
ვეფხვთა ნიჭი და გენია,
უმაღლეს თავისუფლებას
სამშობლო აღუდგენია.

და ხანა უხვად ამდიდრებს
არნახულ ბედნიერებას:
ჩანგს, მახვილ კალმებს, პალიტრებს,
სიმღერას, მეცნიერებას.

უმდიდრეს მემკვიდრეობის
საგანძურია ნახული —
სადმე მთისა თუ ხეობის
კლდეებში გადანახული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შეტრიალებულ რკინიდან
ალი მოღვივის ფერადი,
შრომის ეცემა მინიდან
ნათელი ათასჯერადი.

მარადი სიმაისეა
ჩვენი ქუჩა და შენობა
და სიხარულიც ისეა,
როგორც ტყის ფოთოლფენობა.

და თუ რომ მტერი ფიცხელი
მოგვეტბორება ღვარებად,
ჩვენი ლითონის სიცხელის
შეხვდება გავარვარება.

სტალინი ბელადია და
მხატვარი უდიადესი!
ხარტიით გაადიადა
გზა ნაჭედი და ნათესი!



ეროვნული

ახალი ტფილისის დაფუძნება

ალბათ გინახავს ის ქალი ქვრივი,
მთაწმინდაზე რომ დაუდგამთ ძეგლად:
საუკუნეთა მწუხარე მწკრივი
სჩანს მის სახებად და ანარეკლად.

ჩემო მკითხველო, სხვა შედარება
მოვნახოთ უფრო უნამდვილესი,
რომ შთავისუნთქოთ დარის დარება,
რითაც ახალი სუნთქავს ტფილისი.

სემინარიის პირდაპირ, ბაღში,
ბარელიეფი იყო ასეთი:
ვაჟი, შთანთქმული სალი კლდის თაღში
მთელის სიმკაცრით და სინაზეთი.

მარჯვენა მკლავზე დახრილს სძინავდა,
ვიწრო გვირაბის ქვაზე მჯდომარეს,
თავზე კლდე აწვა და ის ჰყინავდა
გამოღვიძების ასე მდომარეს.

მაგრამ იმ წერაქვს, რომ ეგდო გვერდით,
მეორე მიწვდა — ხელი მშრომელი,
ძველი ტფილისი ასწია მკერდით
და შექმნა სუნთქვა დაუცხრომელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მტკვრის ნაპირიდან მან მოიზიდა
ელექტრონები ქარვის და ლილის,
იმ ბაღებიდან და იმ ხიდიდან
დღეს ახალთახალს აფუძნებს ტფილისს.

ვით არ შვენოდეს ყოფნას სიახლე,
როდესაც სივრცე და უფრო მეტი —
ტფილისი არის იგი სიმაღლე,
ვის მებრძოლ სახელს ატარებს ქედი!



ჩვენი მნათობი ცეცხლის ფერია

ცეცხლივით ჩვენი ტრიალებს ხანა,
ჩვენი მნათობიც ცეცხლის ფერია,
მან ბევრი რული და მშვიდი ნანა
ქარიშხლის ხმებით მოიგერია.
მებრძოლ დროშასთან ელავს კალამი.
ეს ათი წელი — ათი აგური
დამკვიდრდეს, როგორც ძმური სალამი—
მხურვალე, მხნე და ამხანაგური!
მრავალმა წელმა გაასწრო ჩარჩოს,
დრო ისევ ცდილობს ძალთა მოკრებას;
ინდუსტრიალურ ცეცხლს გაუმარჯოს
და პროლეტარულ აბობოქრებას!
გაუმარჯოს ფიქრს, რომ ალებრ მნათი
ხავსმოკიდებულს, ნელს და ბორიოს
აიყირავებს ეს წელი ათი
ათიათასი წლის ისტორიას!
მჭიდრო კავშირი ერთმანეთს შორის
დღეს საჭიროა, როგორც არასდროს!
რევოლუციურ დღის დირიჟორის
ამღელვარებამ რომ არ გაგასწროს!
თუ მსოფლიოში კვლავ შორით შორად
გიგანტიური იგრგვინებს ქნარი,
ჩვენ იმ ვულკანთან ვიქნებით სწორად:
გული, სიმღერა, შრომა — აქ არი!

ხელოვნებათა არმია! ჩქარი
ეპოქის გვერდით იარე, წადი!
თუ დღეს რამ არის გაუგებარი,
ხვალ ნათელივით იქნება ცხადი.
ხომ განვლილია ნაწილი გზისგან —
სხვა ამოცანა — აღმოსავლეთით.
როგორ შორსა ვართ იმ ნაპირისგან,
გემზე პირველი გზით რომ ავედით —
ოკეანესი ჭქუხს შუაგული!
და ახალ ნაპირს იმედად ათოვს,
მზე, რკინასავით შემოდაგული...
ჩვენი მხურვალე სალამი მნათობს!
სალამი ხანას, რომ გასცდა ჩარჩოს!
დროშას, გაწევას, ძალთა მოკრებას!
ინტერნაციონალის ხმას გაუმარჯოს,
ინტერნაციონალის აბობოქრებას!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეგ არის და
გორის ციხე!

ყოველ ახალ გამარჯვების
შემდგომ წესად შემოვიღე —
აღტაცებით შემოვსძახო:
ეგ არის და გორის ციხე!

ამბობდნენ, რომ აქ ბჭეები
ინგრეოდნენ როგორც რიყე,
დღეს რომ სახლი აგვიგია —
ეგ არის და გორის ციხე!

ამბობდნენ თუ: რის სინათლე,
ყურთასმენა ნუ წაიღე.
მაგრამ აქ რომ სინათლეა —
ეგ არის და გორის ციხე!

ომში ვიყავ, მტერს ბერლინი
მივუგრიხე, მოვუგრიხე,
ცხრა მაისით შემოვსძახე:
ეგ არის და გორის ციხე!

ომს აქეთაც დიდი შრომის
დღე დღეებზე ვათარიღე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გადახედეთ ქართლის ბაღებს —
ეგ არის და გორის ციხე!

მაშ, წინ გასწი, მშენებელო,
გზას მიჰხედე, სტალინს მიჰყე.
ეგ არის და ჩვენი ძმობა,
ეგ არის და გორის ციხე!



მთელი ქართველი ხალხის სახელით

გმირული ხალხის, საყვარელ ხალხის —
ჩვენი ქართველი ხალხის სახელით,
სტალინ! გილოცავთ წელთა სიახლის
დაწყებას, გულის მთელის ძახილით!
სივრცენი ველთა და კლდეთა ქიმნი,
ბუნება, სახე ყოველი ტანის —
ეს არის ჰიმნი, ეს არის ჰიმნი,
ვუმღეროთ ჰიმნი ჩვენს ძვირფას სტალინს!
გმირული ხალხის, საყვარელ ხალხის —
ჩვენი ქართველი ხალხის სახელით,
სტალინ! გილოცავთ წელთა სიახლის
დაწყებას, გულის მთელის ძახილით!

კრემლის საათი! რა მხნედ, რა მარჯვედ
სამამულო ომს ხვდებოდა წუთი:
„ჩვენ გავიმარჯვებთ, ჩვენ გავიმარჯვეთ,
ჩვენ გავიმარჯვეთ, სალუტს — სალუტი!“
დიდებულია კრემლის საათი!
იმით დღეს რეკავს კოშკი და ველი:
სამოცდაათი, სამოცდაათი,
სამოცდაათი შესრულდა წელი.
გმირული ხალხის, საყვარელ ხალხის —

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ქართველი ხალხის სახელით,
სტალინ! გილოცავთ წელთა სიახლის
დაწყებას, გულის მთელის ძახილით!

ერთა ძმობაა პირველი მცნება.
ვინც შექმნა იგი პირველად, წრფელად —
ქებათა ქება, ქებათა ქება,
ქებათა ქება ჩვენს ძვირფას ბელადს!
ჰხამს შეტევა და არ დარიდება
რვაას მილიონ კაცთ ერთად მკრებელს.
დიდება, კიდევ ქება-დიდება
ხალხთა ბელადს და შემკავშირებელს.
გმირული ხალხის, საყვარელ ხალხის —
ჩვენი ქართველი ხალხის სახელით,
სტალინ! გილოცავთ წელთა სიახლის
დაწყებას, გულის მთელის ძახილით!

გზით შუქმოსილით თამამად მიდის
სამოცდაათი წელი დიდებით —
მებრძოლის დიდის, გენიის დიდის
სასწაულების მაგალითებით.
სტალინი ყოველ მხნე კომუნისტის
უმშვენიერესს მიმართავს სახელს:
ეპოქა გვიცდის, ეპოქა გვიცდის,
და ითხოვს საქმეს სულ ახალ-ახალს,
გმირული ხალხის, საყვარელ ხალხის —
ჩვენი ქართველი ხალხის სახელით,
სტალინ! გილოცავთ წელთა სიახლის
დაწყებას, გულის მთელის ძახილით!

აჰა, გაისმა ასეთ დღისათვის
სიტყვა, სიმართლის სივრცედ შემდგარი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშვიდობისათვის, მშვიდობისათვის,
მშვიდობისათვის ბრძოლა მედგარი!
ის დღეა, ოდეს მსოფლიო მხატვრებს
აღფრთოვანება შემატებს თემას,
თავისუფლების იდეებს, ნატვრებს,
ნიჭის, ღირსების პატივისცემას!
გმირული ხალხის, საყვარელ ხალხის —
ჩვენი ქართველი ხალხის სახელით,
სტალინ! გილოცავთ წელთა სიახლის
დაწყებას, გულის მთელის ძახილით!

და იქაც ხალხის დიდი იერი
მალე ამაყად დროშებს ჩაუვლის:
მონახოს ფერი, შეიგრძნოს ფერი,
ფერი საბჭოთა დღესასწაულის.
და სიამაყე სიახლეთ ტალღის
კაცობრიობის ხმად გასწვდენია,
გმირული ხალხის, საყვარელ ხალხის —
ჩვენი ქართველი ხალხის გენია!
გმირული ხალხის, საყვარელ ხალხის —
ჩვენი ქართველი ხალხის სახელით,
სტალინ! გილოცავთ წელთა სიახლის
დაწყებას, გულის მთელის ძახილით!

ჰიმნი მშვიდობას

შეხედე, ხარობს მხარე ბრწყინვალე
ამ ახალწლის დღეს,
მისი წარსული, აწმყო და ხვალე
აგებს, მკის და თესს.
იწყება ახალ დღეთა ფაზისი,
უფრო ფაქიზი,
უფრო კარგი და ულამაზესი...

სწრაფია მხარე მშენებლობაში,
თვალუწვდენელი.
ვით ჩქარი შედის მდინარე ზღვაში,
ისე—ეს წელი.

ოცდათხუთმეტმა ახალმა წელმა
განვლო მას შემდეგ,
რაც ბოროტებას ოქტომბერმა
შესძახა: „შესდექ!“
ჩვენი ხალხების ტანჯვა დამთავრდა:
იძრა ქვეყანა
და მის გულიდან ამოთავთავდა
ოქტომბრის ხანა.
გრძნობა ყოველი, რაც ხალხს ებადა,
შეირხა, რადგან
ჯერ არ ნახულთა გამარჯვებათა
ეპოქა დადგა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დიდებულია ოქტომბრის მადლი,
სხივთა ნათება,
მთელი მსოფლიო ხედავს თვალნათლივ
ამ აღტაცებას.
გვახსოვდეს მარად ის ხანა მძლავრი,
ბრძოლის ხმა მწყობრის,
წარსული, აწმყო და მომავალი
დიდი ოქტომბრის.

მარად და მარად შენ ისევ-ისევ
დიდებითა სძლევ,
ჩვენი მეოცე საუკუნის მზევ,
საყვარელო მზევ!
არე-მიდამოს სინათლეში ხვევ
და ვარდებით რთავ...
გვინათე, ჩვენო საყვარელო მზევ,
საყვარელო ცავ!
ჰიმნი მომავალს! ვაშუქებთ ხევებს,
თუ გაგვყავს არხი,
ახალს და ახალს ითვლის მიღწევებს
საბჭოთა ხალხი.

ოდეს შეიჭრა ის დიდი დილა
სიელვარეში,
ისე გზა წინსვლის არსად გაშლილა,
ვით ჩვენს მხარეში.
ჩვენი სიმართლით მოგრიალე ხმა
კიდით-კიდობას
უძლეველია, მან ხმამაღლა თქვა:
იყოს მშვიდობა!
შრომამ იმ დღიდან მოიტანია
ქვეშ ძველი თალხი,

მშვიდობისაკენ დიდი ხანია
    დაიძრა ხალხი!
მშვიდობა!—ესმის ზღვას და მის ნაპირს
    ქუხილი ტალღის,
მშვიდობა!—ისმის ომის პირდაპირ
    გრიალი ხალხის.
და მსოფლიოში გაისმა ხალხთა
    ხმა თანაგრძნობის,
ჩვენში პირველი როს აფრიალდა
    დროშა მშვიდობის!

რაც მსოფლიოში არის სიდინჯე
    და ბეჯითობა,
რაც შემოქმედი ელვარებს ნიჭი—
    შენით, მშვიდობა!
შენთვის შვიდფერთა დგას ცისარტყელათ
    მაღალი ყალხი,
შენ უკვდავება გქვია სახელად
    და გიცავს ხალხი.
შენ გიცავს მედგარ, მეომართ რიცხვის
    მრავლობითობა!
ჭეშმარიტების გზით წინ მიგვიძღვი
    შრომით, მშვიდობავ!
გადალახა რა ყველა საზღვარი,
    მანამდე მყარი,
გუგუნებს ზარი, გუგუნებს ზარი,
    მშვიდობის ზარი!
და არა მარტო დღეისის ხელი,
    მრავალთ მრავალი,
დღევანდელში ჩანს დღე ხვალინდელი,
    გზა წინ სავალი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

და აქაც, როგორც მიღწევა დიდი
    და დიდი წრთობა,
შემოქმედების ჩანს შრომა მშვიდი,
    და ჩანს მშვიდობა.
გადამთიელი მწყურვალი სისხლის
    ებრძვის კორეას.
კორეა იწვის... კვლავ მედგრად იბრძვის —
    ჰიდილის დღეა.
არის სისხლის ღვრა და არის ფერფლი
    და არის ნისლი...
დე, სისხლის მწოველ მტერს ვაზღვევინოთ
    სისხლის წილ სისხლი!..
აი ადგილი, სად ღრუბლებს იხვევ,
    მაგრამ მაინც სძლევ,
ჩვენი დღეების ფრთა დიადო მზევ,
    სამშვიდობო მზევ!

რა მკრთალი შუქით ანათებს მთვარე
    მაროკოს, ტუნისს.
შენ დგეხარ, სხივით ელვარე მხარევ
    მაო ძე-დუნის.
ახალთ-ახალი ფერი რომ მოდის,
    ხატაეთს ხატავს,
და ღორძინდება ქვეყანა, ოდეს
    მას ხალხი მართავს.
მაგრამ ურჩხული ძრწის, არ ისვენებს,
    ხშირი ბაზებით,
შენ გემუქრება კვლავ გულბოროტი
    გაკაპასებით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და, ჰა, ბაზების ტბები ამგვარი
ჯაჭვით და ჯავშნით
ლამობს მოაწყდეს ვით ნიაღვარი
საბჭოთა კავშირს,—
ჩრდილოეთიდან სკანდინავიის
ქვეყნების რიგით,
თუ არ სწყურია კაცთა სიავე,
რად ღელავს იგი?
დასავლეთიდან კიდევ დასავლეთ
ევროპის მხარეთ—
„დახმარებითა“ და „რჩევა-სწავლით“
რად იწვევს ცხარედ?
ურჩხული დრტვინავს... კვლავ ჩვენზე მოდის
და ისევ ურჩობს?
შემოემსხვრევა ის ხალხთა ძმობის
უძლეველ ბურჯებს!
დგას საბჭოეთი, ვით შუქურა
ცადატანილი,—
და ხალხთა ძმობის მედროშეა
დიდი სტალინი!

რომ ჩვენ აქ ვშრომობთ, რომ ვანთებთ ხევებს,
თუ გაგვყავს არხი,
ახალს და ახალს ითვლის მიღწევებს
საბჭოთა ხალხი!
ოცდათხუთმეტმა ახალმა წელმა
განვლო მას შემდეგ,
რაც ბოროტების სვლას ოქტომბერმა
შესძახა „შესდექ!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ კომუნიზმში გადამსვლელ ტომებს
სწყურისთ მშვიდობა,
რომ დროა, დროა შეირყეს ომის
უამინდობა,
რომ კიდევ მაღლა მიჰყავდეს დრო ჩვენს
ლელოს გატანილს,
ვაშა მშვიდობის მედგარ მედროშეს!
დიდება სტალინს!



იდიდე, სამშობლოვ!

კვლავ კიდევ
და კიდევ
ახადე
ბნელს რიდე!
იდიდე,
მშვიდობავ,
იდიდე!

გრდემლს სცემდე,
თუ მკიდე,
მუხანათს
შიშს ჰგვრიდე!

იდიდე,
მშვიდობავ,
იდიდე!

მთის კიდედ,
ზღვის კიდედ,
სახალხო
გმირთ ზრდიდე!
იდიდე,

მშვიდობავ,
იდიდე!

სინათლის
სიწმინდეს
ვარდებად
გვიწვდიდეს!
იდიდე,
ო, მშვიდობავ,
იდიდე!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკვდავი არის

ტყეს არასოდეს
სიცოცხლე არ
შემოეცლება,
გრიგალის მიერ
მჭკნარ ფოთლების
ძირს ჩამოგდებით,
ქვეყნად სიცოცხლე
ადამიანს
ერთხელ ეძლევა,
მაგრამ გმირულო
სიცოცხლეო,
შენ არ მოკვდები.

მარტოდენ ფერფლი,
შეიძლება,
კერას შორდება,
გიზგიზებს ცეცხლის
მარადისი
ძლევათა ძლევა.
ქვეყნად სიცოცხლე
ადამიანს
ერთხელ ეძლევა,
მაგრამ სხვა სახით,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მშვენიერით,
ის მეორდება.

ქვეყნად სიცოცხლე
ადამიანს
ერთხელ ეძლევა...
სამშობლოსათვის
თავგანწირვის
დღე როს დადგება—
რად გინდა ფიქრი
სიკვდილისა,
ეჭვი,
შემჩნევა,
სიცოცხლისათვის ომში
ის არ გამოგადგება.

სიცოცხლე ქვეყნად
ადამიანს
ერთხელ მიეცა,
მაგრამ სიცოცხლის
მთელი ჩვენი
ღონე და ძალა—
უკვდავი არის,
ისე, როგორც
მიწა და ზეცა—
რწმენას,
სინათლეს
და სიყვარულს
თუ ენაცვალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიადი წიგნი

მაღლა ავწიოთ, მეგობრებო,
ერთა ძმობისა,
თავისუფლების, სიყვარულის
დიადი წიგნი!
ადამიანურ ძლიერების
აღიარება
სამშობლოს წინსვლის ურყეველი
მკვიდრი ფუძეა.
შვენის ყოველ დღეს უბრწყინვალეს
ღერბის ტარება
და ანათებს მზე, სტალინური
კონსტიტუციის!

მთელ მსოფლიოში რაც ატომია

გონსმყოფი განა შეეკითხება
რასმე იმის წიგნს და ისიც ეგრეთს?
დე, მსოფლიოში რაც სიმღერაა,
თვით მას მრისხანედ თავს გადმოენგრეს!

ვინც ვერ გაიგო, რომ შრომა ყველგან
შემოქმედების ღვიძლი ტომია,
თვით მას დააცხრეს საბედისწეროდ
მთელს მსოფლიოში რაც ატომია!



ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაკადულო, ნაკადულო!

ნაკადულო, ნაკადულო,
    გამარჯობა შენი!
ყვავილებით მოხატულო,
        "მინდორს როგორ ჰშვენი!

მახსოვს მე ზღვა და გურია:
    ბავშვი გმირად შემქმენ—
როს მარიამ დემურია
    გაგზავნიდა ჩემკენ.

მიმოჰფენდა ფერი სურნელს,
    თრთოდა სული, გული.
ვშლიდი ფურცელს და იმ ჟურნალს
    ერქვა „ნაკადული“.

ᲬᲘᲒᲜᲘ

უნდა ავმაღლდეთ გარეთ,
უნდა განვმტკიცდეთ შიგნით—
თუ სადმე წახვალ არედ,
წიგნით და მხოლოდ წიგნით!

ვერსად მეგობარს, რომელს
მისებრ ვერ ჰპოვებ ქვეყნად—
წიგნი! წიგნი სურს მშრომელს!
ვიყოთ, ვიმღეროთ, შევქმნათ!



ნაკადულო, ნაკადულო!

ნაკადულო, ნაკადულო,
    გამარჯობა შენი!
ყვავილებით მოხატულო,
    მინდორს როგორ ჰშვენი!

მახსოვს მე ზღვა და გურია:
    ბავშვი გმირად შემქმენ—
როს მარიამ დემურია
    გაგზავნიდა ჩემკენ.

მიმოჰფენდა ფერი სურნელს,
    თრთოდა სული, გული.
ვშლიდი ფურცელს და იმ ჟურნალს
    ერქვა „ნაკადული“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წიგნი

უნდა ავმაღლდეთ გარეთ,
უნდა განვმტკიცდეთ შიგნით—
თუ სადმე წახვალ არედ,
წიგნით და მხოლოდ წიგნით!

ვერსად მეგობარს, რომელს
მისებრ ვერ ჰპოვებ ქვეყნად—
წიგნი! წიგნი სურს მშრომელს!
ვიყოთ, ვიმღეროთ, შევქმნათ!



ეროვნული

ნერგი ევკალიპტის

ნერგი ევკალიპტის
ახლა ის ნერგია,
რითაც აზღვავდება
ძალა, ენერგია.

უკლებლივ ყოველდღე
ვღებულობთ წერილებს —
გვთხოვენ ევკალიპტებს,
მზისგან შეფერილებს.

ხათრი გვაქვს ჩვენ თქვენი:
სიტყვა და პირობა...
გვიყვარდეს გატანა
და პირდაპირობა.

რამდენიც გნებავდეთ
მიირთვით, ინებეთ.
მორთეთ თქვენი კუთხე
მზიურ გაბრწყინებით!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზღვაზე ბავშვების ბედნიერ სირბილს

ზღვაზე ბავშვების ბედნიერ სირბილს
ეხმაურება ხმა მრავალ მერცხლის.
ზეცის სიმწვანეს, მიწის სირბილეს
აერთებს ეს ხმა მზიური ვერცხლის.

მშვენიერია ეს გრძნობა ბალში —
უეცარ ძალით რომ შეიქნება,
იყო და ახლაც არის ის ბავშვი,
არის ბავშვი და მარად იქნება.

ასე: მარადის არსებობის ხეს
არხევს ნიავთა წუთიც, წამიცა;
რამდენი ბავშვი შეჰხარის ამ დღეს,
რა ახალია ეს დედამიწა!

ეროვნული ბიბლიოთეკა



დაუძლეველი

დაუძლეველი — გზით შხამიანით,
სიცხით, ჭაობით და ტრამალებით —
მოდის მედგარი ადამიანი
და გული მისი ძგერს გამალებით.
წინათ სიმძიმედ მას თავზე აწვა
ამინდი მთების, ამინდი ზღვისა,
მაგრამ გავიდა მცირე ხანი და
ზღვაც შეისწავლა, მთაც შეითვისა.
ადამიანმა სძლია ბუნება
და მისი სუსხი, მტრობა მრავალი.
და ახლა მის გულს ესალმუნება
ცა, სილაჟვარდით ამომავალი.
ადამიანი აქ მოსულა, რომ
მძლედ შთაისუნთქოს ზეცა მზიანი,
რომ სიხარულად აქციოს შრომა
და იყოს მართლა ადამიანი.

1 9 5 0

ძვირფას მეგობარს, თანამებრძოლს,
    თანამოკალმეს,
ვის სიტყვას ვადრი სივრცეებში
    ანთებულ ალმასს,
გაკრიალებულს, უბრწყინვალესს
    ელვარე მზეზე —
რომ ვუძღვნი ამ ლექსს, გულო ჩემო,
    აი, მიზეზი!

ძვირფას მეომარს, ძვირფას მესხის
    სიმთ მიმოჟღარას,
შეუდარებლად მოყვარულს და
    თანამომღერალს —
შემდგომ თაობათ ბედ-იღბლისთვის
    უმახვილესი
რომ შექმნა ლექსი, გულო ჩემო,
    აი, მიზეზი!

მოუსყიდველი, მომავალის
    შემგრძნობი სვეტის,
ბრძოლებში იყო ბევრის მთმენი
    გული პოეტის,
ლითონზე უფრო უმძლავრესი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და უმტკიცესი —
აი, მიზეზი გამარჯვების,
აი, მიზეზი!

ამ საუკუნის ზვიად წელთა
პირველ ათეულს
ვიგონებ, როგორც აღტაცებას,
ზღვად ვერ დატეულს —
ცხრაასის, კიდევ ცხრაას ხუთის
მხნე იგი გეზი
რომ გაღელვებს შენ, გულო ჩემო,
აი მიზეზი!

ოდეს ვიგონებ იმ პირველი
ოცნების სახელს
და მოლოდინთა მშვენიერთა
სპეტაკ სიახლეს,
რაც მგზნებარებდა და ჰმატებდა
სიბრძნეს სიბრძნეზე —
აი, მიზეზი გამარჯვების,
აი, მიზეზი!

ჩანგო, შენ ჩემო გულის ძგერავ
და იარაღო,
იმ კარგ წარსულით, მითხარ, როგორ
არ ვიამაყო?!
ვით არ ვადიდო შუქი ყრმობის
მოგიზგიზესი —
მედგრად რომ იყავ, გულო ჩემო,
აი, მიზეზი!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩანგო, აღსავსევ სამშობლოზე
მრავალ ხმანებით,
მაოცებ შენი მაშინდელი
აღფრთოვანებით.
შენ შენი გქონდა და სხვას კიდევ —
თავისი წესი —
წრფელი რომ იყავ, გულო ჩემო,
აი, მიზეზი!

ვინაც მებრძოლთა უშიშართა
რიგებში ჩადგა,
კიდევ ცოცხალი ახლაც ჩვენში
ბევრია მათგან.
მათ რომ იხსენებ, ვისიც მარად
მძლავრობს ძირ-ფესვი —
ეს მიზეზია სიმხნევისა,
დიდი მიზეზი!

ვინაც პირველად უწრფელესი
დროშა აღმართა,
ბრწყინავს მათ მიერ თვით ზეცამდე
ახდილი ფარდა.
წარვიდა, განქრა დაფიქრება
სხვა რაიმეზე —
აი, მიზეზი, გულო ჩემო,
აი, მიზეზი!

და, ჰა, კარები გაბედულად
რომ შემოაღო
ცხრაას ჩვიდმეტმა, მითხარ, როგორ
არ ვიამაყო?!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რომ თავდადებით შეიმოსა
    გზა უწმინდესი —
აი, მიზეზი, გულო ჩემო,
    აი, მიზეზი!

იმ ათას ცხრაას ჩვიდმეტი წლის
    ალური გზნებით,
ლენინ-სტალინის მიერ ნათლად
    ნაჩვენებ გზებით,
დედამიწის ერთ მეექვსედის
    გაშლილ სივრცეზე
ძმობის დროშა რომ აფრიალდა —
    აი, მიზეზი!

დღენი ილტვიან და სულ მაღლა,
    მაღლა ადიან.
იშლება თვალწინ ოციან და
    ოცდაათიან
წლების ეპოქა, უმძლავრესი
    და უმკვიდრესი —
აი, მიზეზი, გულო ჩემო,
    აი, მიზეზი!

დაუვიწყართა წელთა ხანა,
    ეპოქა ჩვენი,
უდარებელის და გადამწყვეტ
    დიდების მჩენი,
შემოქმედებით მოალერსე,
    მოფაქიზესი —
აი, მიზეზი, გულო ჩემო,
    აი, მიზეზი!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იმ გარდატეხათ სიმძაფრეებს
ოდეს ვიგონებ,
ძლიერაც მსურდეს, უკეთესს ვერ
გამოვიგონებ.
ავწიოთ თასი ისევ დროშის
მომაისესი —
აი, მიზეზი, მეგობრებო,
აი, მიზეზი!

სახე წავიდა — წინათ უცხო,
მაინც უსახო,
და სხვა მოვლენით, მითხარ, როგორ
არ ვიამაყო?!
გმირთა გმირების სჯობს ხანა თუ
თათქარიძესი? —
აი, მიზეზი განსხვავების,
აი, მიზეზი!

უცებ მოვარდნილ სამამულო,
მსოფლიო ომის
საშიშროება, ველურობა
მომხდურთა ტომის.
რა იყო ქვეყნად უფრო მძლავრი
ჩვენს სიმტკიცეზე? —
აი, მიზეზი, გულო ჩემო,
აი, მიზეზი!

ო, ჩემო ჩანგო, ო, სულისდგმავ
და იარაღო,
იმ გამარჯვებით, მითხარ, როგორ
არ ვიამაყო?!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაისმოდა ხმა სიმართლის და
    სინათლის მთესი —
აი, მიზეზი, გულო ჩემო,
    აი, მიზეზი!

ჩანგო, აღსავსევ კვლავ მტრისადმი
    მკაცრ მრისხანებით,
გმადლობ, იმ შენი მაშინდელი
    ახმოვანებით.
სამშობლოს თვისას დარაჯობდეს
    ერთგული მწყემსი,
თუ უნდობარი კვლავ თავდასხმის
    იქნა მიზეზი.

სადღეგრძელო ვთქვათ ჩვენი ჯარის
    და ჯამაათის —
თენდება ღამე ათას ცხრაას
    ორმოცდაათის!
რომ თენდება და იბადება
    ლექსიდან ლექსი —
აი, მიზეზი, მეგობრებო,
    აი, მიზეზი!

დიდებულია საუკუნის
    ეს ნახევარი.
საძირკვლის ჩაყრა ფუძემდებელ
    დღეთა მრხევარი,
და რომ მეორე ნახევრისა
    ვდგავართ კიდეზე —
აი, მიზეზი აღტაცების,
    აი, მიზეზი!

ასე ბრწყინვალე, ასე ლაღი,
ასე სახალხო,
დღე რომ თენდება, გულო, როგორ
არ ვიამაყო?!
ჩვენია იგი მომავალი,
უუდიდესი —
აი, მიზეზთა მიზეზი და
კიდევ მიზეზი!

ეროვნული
ბიბლიოთეკა



აღმოსავლეთი

აღმოსავლეთში —
ცეცხლმოდებული დღეა მკათათვის,
იწვის აზია, იწვის აფრიკა,
აჰა, შექმნილი
მბრძანებელთა და მონათათვის
სასახლე, ციხე, ქოხი, ფაბრიკა
ხვეულად ჰქარგავს მრავალფერ ქარგებს
მათ სხეულებზე, ვინაც ვნებიან
სიმხურვალეთა სულის სუნთქვას არ აისარკებს
და „კულტურული“ ბორკილის ქვეშ
იმყოფებიან.
ცხელი ცა სავსეა უთეთრეს კრავებით.
რას ნიშნავს ასეთი დუმილი?
სადნობი საკირე, ალმური, ღუმელი
ელვარე გადასაკრავებით.
გადამწვარ ხრიოკებს
მზე დაუნდობლად ხრავს, აწიოკებს.
კლდეები სიცხისგან სკდებიან შუაზე,
რღვევის და სიმწარის მოისმის ხათქანი,
გველები გროვებად აცურდნენ რუაზე,
ყველაზე ბოროტი კი, ერთი მათგანი
გადაწვა მზისაკენ ცქერაში გართული.
ეს მზერა აწვალებს მზეს, როგორც გენია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ვიგრძენ, ამ თვალში თუ რაოდენია
სიბრძნე წარმართული.
სძინავს აღმოსავლეთს...
გაფრენილ დღეებს ის არ მიჰკივა,
ერთი და იგივე, ერთი და იგივე
მას ეფარება სიზმრების ღვარი
და მისი ძილი არის კოშმარი.
სძინავს აღმოსავლეთს.
ის მძინარე ქსოვს ხალიჩა-ფარჩას,
ხატავს ყვავილებს და იალონებს,
რომ ქსოვილები მშვენებად დარჩეს
ისევე ევროპის მდიდარ სალონებს
მხარეს ურკინესს,
როკფელერს, სტინესს,
ზის კრეზი ევროპის,
არა ერთს იგონებს მშვენიერ ელენეს.
მრავალი ძვირფასი ახსოვს ასპაზია,
ქალები პარიზის, ხსოვნა მიტელენის,
მცხუნვარე აზია.
შენი კლეოპატრა შიშველი მკლავები,
ოხვრა, მესსალინა, ისევ შენეული
უფრო ენთებიან ცაზე ვარსკვლავები,
აღმოსავლეთისგან მათთვის შელეული.
რამდენს მეტყველებენ ვარდნი უენონი,
ფიქრი ოაზისზე ალთა მონთებისა,
დარჩა სამუდამოდ დრონი მენტენონის,
დარჩა მენუეტი ლოლა მონტეზისა
ევროპის კრეზისთვის.
სძინავს აღმოსავლეთს.
იგი უგრძნობლად იღებს ფერადებს,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაგრამ თვალები,
თვალები მიდის ეფემერამდე
მხარისკენ,
სადაც სანიშნო ბურთად
მიწა აბოლდა, კვამლი ედება.
სადაც სურვილი გაუდაბურდა
და აღარ არის თავგამეტება.
ღრუბელთა წყება ცაზე აჩქარდა,
დარიგდენ მთების მწყობრი რაზმები,
ყინვამოსხმული გუნდი ლაშქართა,
ღრუბლების კონკი და ფანტაზმები.
თეატრებია დიდი, პატარა.
ბრწყინავს კაბარე.
კინემოტოგრაფს შემოატარა
სული გარყვნილი და მომთაბარე.
ბრწყინავს რეკლამა,
ნერვებს აწვალებს.
აგერ საეჭვო გამოჩნდა დამა,
შანსონეტკები იფერენ თვალებს.
იქ ოპერეტკა, აქ კიდევ ფარსი,
იდუმალებით სავსე პიესა,
აქ ყველაფერი მოდუნდა ბასრი,
სიცილშიც ჩუმი მოისმის კვნესა.
მხოლოდ ლორნეტებს მომეტეორეს
მწარედ დაღალულ თვალს აფარებენ,
თავს აწონებენ ერთიმეორეს,
სხედან, დადიან ან ამთქნარებენ.
ვინ იცის, გრძნობენ თუ არა გრძნობით,
რომ სულ ახალი დროის ჰამლეტი,
მოჯადოებულ ბურუსში მყოფი,
სდგება, იღვიძებს აღმოსავლეთი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მას არ აშინებს ცეცხლის ფანტელი
და მუხლებამდე ქვიშა სადები,
არც უდაბნოის კორიანტელი,
არც მომავალი ბარიკადები.
დახეტიალობს ცეცხლის ამური
მოულოდნელი სიმხურვალეთი,
მან მოიარა ყველა ქვეყნები
და ინახულა აღმოსავლეთიც.
ცეცხლის ამური და ტყდომა ღერის
თავისუფლების ნაზი ფერია,
მღეროდა მასზე და ეხლაც მღერის,
როგორც არავის არ უმღერია.
და თუ მოვიდა გრიგალი ისევ
და გაზაფხულის ველი მოლია,
ის სიცოცხლისთვის იბრძოლებს ისე,
როგორც არავის არ უბრძოლია.
დაარტყამს ქარი და მოგზაური
ბაწარზე წავა, როგორც ობობა,
დაიძვრის ქვეყნის აურზაური
და აღელვებათ ავადმყოფობა.
ის მიისწრაფვის და ეჩვენება,
რომ სულ ახლოა ბედის ხომალდი,
მუქარა, წყევა და შეჩვენება.
თავისუფლების მზემდე, ბრძოლამდი,
ო, რა საამოდ სულს ეფერება.
ამ ცეცხლით იწვის ქვეყნიერება...
და აი,
იფეთქა რევოლუციამ...
აღმოსავლეთით და დასავლეთით

ისმის ლოზუნგი:
ომი ომს.
აღმოსავლეთით და დასავლეთით
ეომება ომს —
საბრალო ჯარისკაცი,
დაღალული ჯარისკაცი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეპოქა იშვა და გაიზარდა

ეპოქა იშვა და გაიზარდა
სამოქალაქო ბრძოლების რკალში,
ტყვიისმფრქვეველის კორიანტელში
და ზარბაზნების მედგარ გრიალში.

მოგონებანო,
ხან სავსე სპაზმით,
გრძნობას რომ ვეღარ აუთავდებით,
ხან აღგზნებულნო ენტუზიაზმით,
გმირული რწმენით და თავდადებით.
იყო შიმშილი არა ერთი წლის,
იყო სიცივე და წყალდიდობა,
ყირიმს მიწისძვრა ანადგურებდა
და საქართველოს უამინდობა.
ზღვისგან დალეწილს ჰგავდა ბათუმი,
მხარეს მოაწყდა მშიერთა კვეთა,
იყო კერზონის ულტიმატუმი,
იყო ჩინელი მუშების ქლეტა.

ამ დროს, ევროპა, შენ უფრო ძლიერ
სერავდი ხალხის მძიმე იარას,
უფრო და უფრო და განუწყვეტლივ
აჟღარუნებდი მის წინ იარაღს.
ის მაშინ იყო კლასის, რომელმაც
წყენით დასტოვა ალი ქურისა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ერთის დაკვრით გაანადგურა
შემოსეულნი ყველა ჯურისა.

მისი პასუხი არ იყო განა
არა მშიშარა და დაბუგული
ხმა საჰაერო ესკადრილიის,
მრავალრიცხოვან მოტორთ გუგუნი?
მისი პასუხი არ იყო განა,
რომ დარაზმული, როგორც მზეობა,
იბრძოდა წითელ დროშასთან ერთად
მთელი მშრომელი მოსახლეობა?

რა დარჩა შემდეგ დანგრევის გარდა?
შრომა მიეცა სხვა ამთოვრებას,
რევოლუციამ ახადა ფარდა
ამშენებლობას, ცოცხალ ცხოვრებას
და მილიონთა მძლეთა მძლეობა
კილოვატებში გაეშვა ისრად,
პასუხისგება, მოვალეობა
მრავალთან ერთად მას დაეკისრა.

არ იყოს სიტყვა „არ შეიძლება“,
ჰაის და ჰოის
ხმა ხომ ქვევრია
და შეცდომებიც ახალი დროის,
არის! თუმცა არც ისე ბევრია,
მაგრამ, როდესაც შენდება მხარე,
როცა კულტურის ხე-ტყე მკვრივია,—
ხარაჩოებში, ხე-ტყეში მწარე
შეცდომა მუდამ ბუნებრივია.
ისე ბევრია ხე-ტყეში ქვერი,
ისე ბევრია იქ ნახერხები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

კირი, თლილი ქვა, ცემენტი, მტვერი,
ხელსაწყოები, ლოდი, ვერხვები.
უხერხულია იქ სიარული,
მათზე გადასვლა და მიმართება.
მაგრამ შენობა მაინც შენდება,
შენობა შრომით მიიმართება.
ხუროთმოძღვარი რკინის კონებით,
რომ იმორჩილებს დროის სიფიცხეს,
ავსე ახალით და შთაგონებით,
იგი არასდროს არ დაივიწყებს
და არ ივიწყებს ეხლაც კი უფრო,
მოაწესრიგოს სულ ყველაფერი.
მშენებლობას რომ არ ასცილდება
ზედმეტი ქვა და ზედმეტი მტვერი.
და მასზე ცაა გადასახული,
შენობა მძლავრი—არა მონური,
უზარმაზარი, ჯერ არნახული,
რევოლუციური.
დროა კულტურის რევოლუციის?
ყოველი ლექსი ამნაირ ხმაში,
ის მომენტია, როდესაც სიტყვას
უნდა ჰფარავდეს მქუხარე ტაში.

ეროვნული

ყველა წითელარმიელი იდგეს როგორც ლომი

თუ რომელიმე სასახლეს აგებს,
რომლის სიმაღლე არის ზღაპარი,
როცა ქუჩაში ღარიბ-ღატაკებს
არ გააჩნიათ თავშესაფარი?
მილიარდერი აგებს თეატრებს,
რომლით ბრჭყვიალებს მთელი ევროპა,
როდესაც მუშებს ქუჩებში ათრევს
გაუგონარი უმუშევრობა.
მილიარდერი ააგებს ტაძარს,
რომ შეითრიოს ქალი და ბალღი,
რომ რელიგია სცხოს ოპიუმში
და ოპიუმით მოსწამლოს ხალხი.
აზრი მსწავლელის, გმირის, არტისტის
მონად ჰყავს ბანკირს. ხაზი ხაზია:
სახლშიაც არის, გარეთაც იცდის
ჩასაფრებული ბურჟუაზია.
ხელში აიღებ დღევანდელ გაზეთს
და გრძნობ—სად მიდის ძველი ევროპა,
ვისზე იყენებს ტანკებს და გაზებს
პარლამენტების ენამჭევრობა.
საბჭოებს ისრებს უშენენ შვილდნი
ყველა ლონდონის, ყველა ლიონის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიგანტური სტამბების დაზგა
და მშენებლობა როტაციონის,
გრგვინვენ მოტორნი და გაზეთები
იფანტებიან გამყინველ დროში,
მუშებს თავისი უნდათ გაზეთი
და გაზეთისთვის არა აქვთ გროში,
საზიზღარი დრო! უსაზიზღრესი,
ვინემ გახრწნილი ლეშების სუნი,
როცა ზიდავენ მკვდრებს რკინიგზები
და ტელეგრაფთა კვნესის ზუზუნი,
სად კონტინენტი დარაჯობს მხოლოდ
ფარჩეულობას, ტყავეულს, ნოხებს,
პრესას, მუსიკას, თავდავიწყებას
ეძებს კაფეში და გულს იოხებს.
ამ დროს ღვინოსთან მომღიმარ ჯენტლმენს
უახლოვდება მაღაროს მთხრელი,
მოგვიმატეო, დროა, ხელფასი!
ვკვდებით შიმშილით, არ მოგვდევს წელი.
ჯენტლმენი—ახალს იღებს სიგარას,
არავის მოთხოვნა მას არ აწუხებს,
აიღებს ქაღალდს, მწარე დაცინვით
შეხედავს მუშას და უპასუხებს:

მაშინ უეცრად მე მომეჩვენა,
რისხვად გააფთრდა მაღაროს მთხრელი,
შამპანიურთან გართულ ჯენტლმენებს
საყელოებში სწვდა რკინის ხელი.
ღვინო გადესხა აბრეშუმს, ხავერდს:
ქალს ალმასების მოსწყდა საყურე,
ძირს გაიშხლართა მძიმე ბანკირი,

კიბის ქვეშ შეძვრა მოსამსახურე,
იწვის წიგნები და გაზეთები,
ქანდაკებები იმსხვრევა რკინის.
„წყალი“—გაისმის ხმა მანდილოსნის,
რომელმაც სუნი იგრძნო ბენზინის.
სარკემ ძგრიალი მოიღო, ალმა
გადმოანგრია ბროლის კანკელი.
მომენტი ჰგავდა ელექტრობზრიალს,
როს კაპიტალმა იწყო კანკალი.
ოქრო და ვერცხლი ძირს დაიყარა,
ინტელიგენტის გამოჩნდა ზურგი
სათვალის, ცილინდრს, სიგარის იქით,
დგას მშვიდად კლასი, როგორც ქირურგი.
გაჩნდა ქუჩაზე ბარიკადები,
კაპიტალისა დაიძრა მყარი...
მაშინ იმედი მუშათა კლასის
არის მედგარი წითელი ჯარი.
კლასი ჰქუხს: ვაშა წითელარმიას,
რომელიც მტრების საყრდენ—სადგურებს,
ჩვენს წინააღმდეგ ამუშავებულს
დალეწავს, დასწვავს, გაანადგურებს!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩვენი ჯარი ძლიერია, მაგრამ სხვა სიძლიერით

ქვეყნად ბევრი არმიაა—
სულ სხვადასხვა ფერია:
ზოგან ლურჯი, ზოგან თეთრი,
ზოგან ყორნის ფერია.
ნისლში მიდის, გზას ვერ იკვლევს,
ხეობებს ვერ ეგნება,
რისთვის იბრძვის, რისთვის ომობს
არ აქვს ამის შეგნება.
შეუგნებელ კაცის ბრძოლას
მადლი როდი ექნება,
თუმც სამარის ბევრი სველი
მიწა გადიბეკნება.
ნამდვილად კი მათ დროშაზე
მასის ჩაგვრა სწერია—
თავიდანვე ამ არმიას
ბედი არ უწერია.
ჩვენი ჯარი ძლიერია,
მაგრამ სხვა სიძლიერით—
შეგნებული დისციპლინით,
შეგნებული იერით.
იცის, რომელ მხარეს იცავს,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იცავს სისხლით, იარით,
მტკიცედ ესმის დავალება
მხარის შრომისმიერით!
ჩვენი ჯარი ძლიერია
და ბრძოლებში მაგარი,
რომ დაიცვას პროლეტარულ
შრომის ნაამაგარი!



რად გვინდა თავი ცოცხალი

ორთქლმავალს
სოციალისტურს
მტერი ჰყავს არა მოწყალე,
თუ არ დავუხვდით—
როგორც გვსურს—
თავი რად გვინდა ცოცხალი?
საყვირმაც
დაჰკრა დილისამ,
აჰყარა გარეუბნები.
ცისკარო,

თვალებთილისმა,
რატომ ბანს არ ეუბნები?
შენი ცა
სხვაფერ ოცნებობს,
ლამეც ბევრი გაქვს ნათევი,
აქ კი სხვა
სახელოსნოა
და სულ სხვა ნაძალადევი.
ამქარი
ხიდს გადასცილდა,
ხიდს გადასცილდენ ლანდები,
დაჰკარით,
რკინიგზელებო!

ეროვნული
ბიბლიოთეკ

დროვ, ასე გაფოლადდები!
აქ თვითეული
მკრებელი
მებრძოლი არის მედგარი,
რომ დასძრას
მატარებელი,
ახალ ლიანდაგს შემდგარი.
სტვენს ორთქლმავალი
ქარდაქარ,
კვამლი ფრიალებს ნაქარი.
საყვირმა დაჰკრა,
შენც დაჰკარ!
დაჰკარი, ცეხო, დაჰკარი!
სამშობლოს
სოციალისტურს
მტერი ჰყავს არა მოწყალე,
თუ არ დავუხვდით
როგორც გვსურს —
თავი რად გვინდა ცოცხალი!
ევროპამ,
თვის სანაქებო
ღიმილიც კი არ გვაღირსა,
ვიცოდეთ,
ამხანაგებო,
ხმარება იარაღისა!
ძველი გზა
არ გვენატრება,
ჩვენი, ახალი ეწყობა.
მხარეს სჭირდება
კადრები —

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენც გვმართებს ხელის შეწყობა.
მტერს, რომ იძახის:
ასეთი
შრომა ცეცხლია, დრო—წყალი,
თუ ცეცხლი არ ვაგრძნობინეთ,
რად გვინდა თავი ცოცხალი!
მვნებელი ნაირნაირი
ცეცხლის სასხლავით
მოსხალი!
მათთან საერთო ჰაერით—
რად გვინდა თავი ცოცხალი?
კულტურა
თუ არ დადგინდა
და დავრჩით დასაცოცხავი—
თავი ცოცხალი
რად გვინდა,
რად გვინდა თავი ცოცხალი?!

შეხედე!

შეხედე, როგორ არის ჩასკვნილი
ამ მთების ჩრდილი და ჩაის ჭალა,
ჩამავალ მზეთა უკანასკნელი
და სისხლიანი გზა ჩაიშალა.
ჩემი გულია: მშვენიერ მაისს
ხვეწნად მუხლებში რომ ვუვარდები,
სიმღერა ჩაის, სიცოცხლე ჩაის
და უყვითლესი ჩაის ვარდები.
რა არის ნეტა ქვეყნად მისთანა,
რომ გამიცივოს გული მისდამი,
მიჩვენოს სადმე აჭარისთანა —
სხვა რომელიმე კუთხე ახალი.
ახალგაზრდობის დღე, საიდანაც
ჩემგან პირველად ზღვაა ნახული,
მიჩვენეთ სადმე ზღვა ამისთანა,
ან მთები ზღვაზე გადასახული.
ჩაის მინდვრების თვალის გახელას
ეკუთვნის ჩემი ძახილი: ვაშა!
ჩემი კალამი, მზე, მაჭახელა,
ხასანბეგურა და ალიფაშა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მზე თვალებში ჩაგეწვეთება და თვალს სინათლე მოემატება!

როცა ხნულები
ეფინება
ველებს სვეტებად
და თვალუწვდენი
ნიავების
ზღვა იბადება,
ცეცხლი რამ მზისგან
კაცს თვალებში
ჩაგეწვეთება
და თვალს სინათლე
უეცარი
მოემატება!
სისულელეა ხომ, მინდვრებო,
დღეს თვითმკვლელობა?
ეს ნიშნავს, რომ შენ
ბედისწერას
ვერ გაუმკლავდი —
რომ არ მჯეროდეს
ამ წალკოტის
ვეფხვებრ მსვლელობა,
მეც, რა თქმა უნდა,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რა თქმა უნდა,
თავს მოვიკლავდი.
...გარშემო ისევ
აღტაცება აურზაურობს,
ქართლი, კახეთი,
იმერეთი,
რაჭა, ოდიში,
მსოფლიოს ერთი
მეექვსედის
გულთან ხმაურობს...
ასე ხმაურობს
პოეზია, ვეფხვი და ქარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტომობილი და ურემი

ახალთახალ შარაზე
მიჰქრის
ავტომობილი,
ჩემი გადარეული
და კეთილი
ძმობილი.
გზა მიეცით მანქანას,
მომავალი
მისია,
იგი ჩვენში ახალი
ყოფნის
დასაწყისია.
არსად არ გადუხვიო,
ეს გზა სწორზე
სწორია:
მარცხნივ
მხოლოდ ხრამია,
მარჯვნივ
პრეისტორია.
რა თქმა უნდა, სხვა იყო
ჩვენი ძველი
ურემი,
მისი ხარ-კამეჩები,
მისი
აპეურები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვერსად ნახავ იმნაირს —
დაიარო
ხმელეთი,
მისით იფინებოდენ
ცხრამუხა და
თელეთი.
მაგრამ ავტომობილმა,
როცა შემოუტია,
გადინაცვლა ურემმა,
ცოტათი
გზა უტია.
უცხო შინის სისწრაფე
იგრძნო თვით
აპეურმა,
მაგრამ ძველი ცბიერი
არ დაიბნა
მეურმე:
— გამარჯობა, შოფერო!
მიცან?
აი დედასა!
იმ დღეს კამეჩები რომ
გადამიფრთხე
ქვედაზე?
და შოფერი ღიმილით
მეურმესთან
მივიდა:
— რას ჭრიალებ მაგ შენი
ძველი
ურემივითა?
— დააყენე, სჯობია,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შავ ვარსკვლავზე
შობილი,
დააყენე, მე გირჩევ,
შენი
ავტომობილი.
მაგ მანქანას ეს ჩემი
ძველი ღერძი
სჯობია,
ოცდაათი წელია,
ნეკიც
არ ულრძობია.
არხეინად მივდივარ —
დღეობას ვარ
წვეული.
ურემია კაკლისა
მამა —
პაპისეული.
შენაც ჭკუას მოეგე,
სიტყვაცა სთქვი
წყობილი,
ურემს როგორ აჯობებს
შენი
ავტომობილი?
არხეინად მივდივარ —
დღეობას ვარ
წვეული,
ურემია კაკლისა
მამა —
პაპისეული.
შოფერი ყურს არ უგდებს,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიჰქრის
ავტომობილი,
ჩემი გადარეული
და კეთილი
ძმობილი.
არსად არ გადუხვიო,
ეს გზა
სწორზე სწორია,
მარცხნივ მხოლოდ ხრამია,
მარჯვნივ —
პრეისტორია.
უფრო სწრაფად ისე, რომ
ის მეურმე
სამხრეთით —
სჩანდეს როგორც წერტილი,
თავის ოფნის
სახრეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველი მხრიდან

სიტყვა არ წამოგცდეს,
რომ შენ დაიღალე,
განზე გადექი და
ტყვია დაიხალე.
გული გაიხელე,
სისხლით გაიხალე,
ოღონდ არ წამოგცდეს,
რომ შენ დაიღალე.
განა ცოტა იყო
ჩვენში გატაცება,
ქარში გადავარდნა,
ჯვარზე გადაცემა.
ფიქრობ: არ გაწვება,
დუშმანს დაეწევა,
უცებ ბრუნდება და
სულით დაეცემა.
ბევრჯერ მიზნისთვისაც
შეუკურთხებია,
სახე მწუხარებით
მოუმწუთხებია.
სიტყვა არ გაბედო,
რომ შენ დაიღალე,
განზე გადექი და

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტყვია დაიხალე.
გული გაიხელე,
სისხლით გაიხალე,
ოღონდ არ გაბედო,
რომ შენ დაიღალე.
მედგრად მოიმარჯვე
ისევ ის ხელები,
მისწვდი, შეუტიე
წარსულს გახელებით:
ეს ხელები
შეინახა დრომ,
ეს ხელებია
რომ —
ბორკილებს ჰხრიდა
და ჰესებს ჰქმნიდა,
ყოველი მხრიდან!
ყოველი მხრიდან!
ყოველი მხრიდან!

სალამი ახალგაზრდობას

ბედნიერების ახალი წიგნით
შეაღებთ კარებს.
თავდადებითაც შეაღეთ: შიგნით
აზრი ელვარებს!
გვაქვს საგანძური: მეცნიერება,
რომლის სიმდიდრე
არ დაილევა — ქვეყნიერება
არსებობს ვიდრე.
ყოველი წვეთი დაღვრილი სისხლის
გვითითებს ფარად
წიგნთან სიფხიზლეს, ომში სიფხიზლეს,
სიფხიზლეს მარად!

ვეფხვებს სალამი! ვძლიეთ სიძნელე
გზად რომ დაგვედვა.
ვძლიეთ სხვა მტერიც, ვძლიეთ სიბნელე
და კარჩაკეტვა.
აზრს — თვით ბუნება — უამურ იჭვით
რომ იბურება,
უნგარიშო მადლით და ნიჭით
ემსახურება.
ხალხისთვის, როცა ის ასეთნაირ
შრომას ჩაერთო,
მეცნიერება, როგორც ჰაერი,
გახდა საერთო!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თქვენ, როგორც ახალ დროის სიალეე,
    მომავლის სახე,
იმ კარგ მომავლის იმედი, ძალა
    და სიამაყე —
მიჰყვებით ჩვენს დიდს მშობლიურ სტალინს.
    მიჰყვებით სტალინს!
მისით დიდების საქმეა სწავლა
    და ცეცხლი სწავლის,
მისით წყვდიადის შავს სადარაჯოს
    ძალა ეცლება.
ბრძნულს, სამართლიან აზრს გაუმარჯოს,
    ძირს უმეცრება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პიონერო, იყავ ღირსი

პიონერო, იყავ ღირსი
ახალ ყოფა-ცხოვრების,
შენ ხანა არ გაგივლია
ძველი გამათხოვრების.

მასამ აბობოქრებულმა
ის ბორკილი დალეწა,
რომ ნისლებს არ დაებურა
შენი გამჭვირვალე ცა.

ბრძოლამ ძველი ზამთრის სუსხი
დაუნდობლად შელახა,
რომ ნამდვილი გაზაფხული
შენთვის გადაენახა.

თოვლიც გადნა, ველად გაჩნდა,
ცისფერ იის ღერები,
გაზაფხულის ეს მზადმყოფი
ნორჩი პიონერები.

მშენებლობა მოდის ქვეყნად,
ჯერ რომ არსად ნახულა,
პიონერო, ეს დღეები
შენთვის გამოსახულა.

ხუთწლედი ოთხ წელიწადში!
საქმეს — თავის ალაგი!
მოდის სოციალისტური
სოფელი და ქალაქი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დროშები ჩქარა!

გათენდა; ცეცხლის მზე აენთო, აცურდა...
დროშები ჩქარა!
თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა,
ვით დაჭრილ ირმების გუნდს — წყარო ანკარა,
დროშები ჩქარა!

დიდება ხალხისთვის წამებულ რაინდებს,
ვინც თავი გასწირა, ვინც სისხლი დაღვარა;
მათ ხსოვნას ქვეყანა სანთლებად აინთებს,
დროშები ჩქარა!

დიდება, ვინც კიდევ გვაბრძოლებს იმედით,
ვინც მედგრად დახვდება მტრის რისხვა-მუქარას.
გათენდა! შეერთდით, შეერთდით, შეერთდით!
დროშები, დროშები...
დროშები ჩქარა!



ეროვნული ბიბლიოთეკა

ტახტი დაეცა

ათრობდა ხალხთა მწუხარება, სისხლის აუზი,
მისი სასახლე მონად ჰყავდა აღფრთოვანებას,
მოღალატეთა შთაგონებით სცემდა ბრძანებას
და მედიდურად ხელს აწერდა: ნიკოლოზი.

საზარი იყო, ქვეყნის ბედი, ღელვა, ქაოსი
ფრეილინების და დედოფლის ბედს მიანება,
ჩვენ კი სიმართლის ციხეებში დაგვიანება
გულს გვისერავდა, როგორც ზარი სასაფლაოსი.

კუბოებისთვის მეკუბოვეებს ხე აღარ ეყო,
ხე არ ჰყოფნიდა მეფეს კაცთა ჯვარზე საცმელად,
მაგრამ გამოჩნდა სიხარული კაცთ დასახსნელად.

ამხანაგებო! განახლების ზარმა დარეკა,
ტახტი დაეცა და იმედად ქაოსზე დგება:
თანასწორობა, რესპუბლიკა, თავისუფლება!

ურიცხვ დროშებში

ცხრაას ჩვიდმეტი. ჭიხვინებდა შენი მერანი,
ბარიკადების მღელვარება გებარა ოდეს.
ურიცხვ დროშების მოდიოდნენ მოსიმღერენი.
ბევრი მათგანი აღარ მოვა აქ არასოდეს!

უკანასკნელად გვიღიმოდნენ გზაზე ქალები:
გახსოვდეთ მასა და მიზანი მისი გახსოვდეს.
ბედნიერებას გვპირდებოდა მათი თვალები,
ბევრი მათგანი აღარ მოვა დღეს არასოდეს.

მუსიკა, რისხვა და ქვეყანა, ზრუნვის საგანი,
თითქოს ყველაფერს კარი მძიმედ გადარაზოდეს!
ო, არასოდეს არვინ მოვა იმათთაგანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჩვენ, პოეტები საქართველოსი

გულში იმავე გრძნობით ბრუნდება
და მოლოდინი დარეკავს ჩუმი,
რომ არა ერთხელ აგუგუნდება
დედამიწაზე კიდევ სამუმი.

აჰ, ქიმიური ომების წყება,
სოფელში, მინდვრად, ქალაქში, ტყეში.
ახალი ლპობა ჰოსპიტალების,
ახალი ცრემლის ღვარი და თქეში.

იქ, ტრანშეების ლაბირინტებში,
ნუ გაგიტაცებს ძველი წუხილი,
ხევიდან ხევზე იკივლებს მეხი,
ხევიდან ხევზე წავა ქუხილი.

გიგანტიური მუხლუხო — ტანკა
და შეუწყვეტი ტყვიის ფანტელი,
პროჟექტორებმა ჰაერში იგრძვნეს
ჰაეროების კორიანტელი.

წამოვა მღვრიე ცეცხლის ნიაღვრად
ასსანტიმეტრის მკაცრი სახელი,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხევიდან ხევზე გადიგრიალებს,
ხევიდან ხევის გამოძახილი.

გააფთრებული ომის გენია,
ძველი ჟანგივით ყვითელი ფერის,
გადეფარება მეწამულ ზეცას,
რომ მოიტანოს დღე მწარე წერის.

იქნებ მოსწყინდეს ერთსახეობა,
აღმოსავლეთის დღეების თბილის,
გადმოანგრიოს მტკვრის ხეობა
და ასაკლებად მოადგეს ტფილისს.

ვართ პოეტები საქართველოსი,
რომელთაც გვახსოვს დღე უარესი,
ჩვენ ეხლავ ვიცით სად დადგებიან
კლოდელი, ჟამმი, სიუარესი.

დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალია
და სისხლიანი სდგას ანგელოსი,
ახალ გრიგალებს ვსწირავთ სიცოცხლეს,
ჩვენ, პოეტები საქართველოსი!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევოლუციონერის ხსოვნას

ირგვლივ ნისლი სუფევდა,
ვარდებს შხამი ერია,
მაგრამ წყნარად ამბობდი:
იყოს... არაფერია!
ყველაფერი ქაოსის
ნაპირამდე მივიდა,
მაგრამ ღელვას ეტყოდი:
დასცხრი... რა მოგვივიდა?
და იქ, სადაც ცბიერნი
უგულობას ფარავენ,
შენ იცოდი ღიმილი
ისე, როგორც არავინ.
მათთან, ვისიც ცხოვრება
იყო ბედით გმობილი,
შენ ხალისით მიგქონდა
სული კეთილშობილი.
და ცხოვრება გიყვარდა,
როგორც ბრძოლის პიესა
და გათრობდა ჰანგებში
მხოლოდ მარსელიეზა.
რა დღე არ გაიარე,
ხან კარგი, ხან მწუხარე,
მაგრამ სიკვდილის დღემდე
შენს გზას არ გადუხარე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ჩვენ ავდიოდით სახრჩობელაზე

ო, როგორ გვძულდა ჩვენ ბოროტება,
გვძულდა მტარვალი, გვძულდა მჩაგვრელი!
ვესარჩლებოდით დამონებულის,
დაცემულ მოძმის მწე და მფარველი.

ჩვენ შევებრძოლეთ უსამართლობას,
არ შევუშინდით მტრების მუქარას,
გმირმა არც ერთმა შებრძოლებაში
არჩეულ გზას არ გადაუხარა.

ამხანაგებო! გვწამდა: თანაბრად
გააშუქებდა მზე სულ ყველაზე,
ამ რწმენით, სულით დამშვიდებული
ჩვენ ავდიოდით სახრჩობელაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენ ღამეს მოელო ბოლო

მომაგონდება ძველი ცხოვრება
და განთიადი ჩვენი ბედისა...
ვფიქრობდით: „როდის გამოაშუქებს
მზე გათენების და იმედისა,
როდის იქნება ხალხის ტანჯულის,
სამართლიანი ქვეყნად უფლება,
თანასწორობა, შრომა, სიმართლე,
ერთობა, ძმობა, თავისუფლება?!“
ბოლო მოელო ხალხის წამებას
და ფუჭ ცხოვრებას, უნაყოფობას!
მაშ რამდენ ღამეს მოელო ბოლო,
რამდენ წურბელას, რამდენ ობობას!!

ეროვნული
ბიბლიოთეკა



იყო ბურუსი

იყო ბურუსი გაურღვეველი
და კაკანებდა ტყვიამფრქვეველი.

დღემ მოღუშულმა წარბი შეხარა,
დაცლილ ქუჩებზე მკვდრები ეყარა.

უცებ მაღალი ცეცხლი ავარდა
და ბნელი ცისკენ გაინავარდა.

ცეცხლი ძლიერი დიდხანს ვინახე,
როს იმედები სხვა დავინახე.

ეს მინდა ვუთხრა მიეთ-მოეთებს:
„მე ქარში ვიყავ, როცა პოეტებს,

თქვენთვის საყვარელ ბულბულ-მდელოში,
ტკბილად გეძინათ საქართველოში“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გემი „დალანდი“

გამომაღვიძა ღამის ალმა ნელმა და ქურდმა,
ბაღი ყელამდე ზამბახებით იყო ნაბური.
ირგვლივ ეყარა დანგრეულთა ჩრდილთა ჩუქურთმა,
ბაღს იქით მძიმედ ხმაურობდა ზღვა უდაბური.

მე მივდიოდი, მაღლა იდგა გემი „დალანდი“,
როგორც ცისკარი, ღელვის ლანდზე შეყვარებული,
ბრძოლის დაფნისთვის მიტაცებდა ლურჯი მანდილი,
ქვეყნად მთვარეულ ზამბახებში შეფარებული.

გემით „დალანდი“ მოვდიოდი სამშობლოსაკენ
და მთვარისაგან გაღვიძება გულს დარდად ჰქონდა;
მაგრამ სამშობლოს ძველი გზებით ველარ მოვაგენ
და არ მახსოვდა: მქონდა იგი, თუ მომაგონდა?

გახსენებების მომძახოდა მტანჯველი ლანდი:
შენ და მოსკოვი, პეტროგრადი, ლენინი, კრემლი!
შავი ზღვის ზვირთებს მიაპობდა გემი „დალანდი“
და თვალზე მადგა განშორების მსუბუქი ცრემლი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

სადღეგრძელო იყოს მისი

სადღეგრძელო იყოს მისი,
ვინც ოცნებით იწოდა,
ვინც პოეტის მარადისი
აღტაცება იცოდა.
მოდიოდა ერთზე ასი,
გზა გშვენოდა დიდების,
ჩვენ დავცალოთ ყველამ თასი
ბედთან არ დარიდების.
სადღეგრძელო იყოს მისი,
ვინც შიშმა ვერ დაჰხარა.
ავდგეთ ფეხზე! ჩვენ ტფილისი
ვადღეგრძელოთ ჭაღარა.
აქ სიცოცხლე და ხალისი
ვის სხვად არ ესვენება,
სადღეგრძელო იყოს მისი
და დიდებით ხსენება!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პირველი მაისი

ქუჩებსა და მოედნებზე მიდის, როგორც ქარბუქი —
ათასობით ქალიშვილი, მოხუცი და ჭაბუკი,
დემონსტრანტთა კოლონები სიხარულის ლივლივით,
სანაპირო ქუჩას ავსებს დილის ჟივილხივილით.
ეს მაისიც მთელ ქვეყანას ესალმება რტომრავალს:
— გაუმარჯოს პირველ მაისს, მთელი ქვეყნის მომავალს!
და პასუხად გამოისმის ათასი ხმით ძახება,
სახლებს გრგვინვა დაემჩნევა, ჰაერს აცახცახება.
წინ მიიწევს პიონერი, როგორც კაცი პირველი,
შემდეგ მიჯრით მიწყობილი მიდის კომკავშირელი.
ქუჩა სავსე სიხარულით და პასუხის მიგებით
დაამთავრებს სვლას წითელი ჯარის მებრძოლ რიგებით.
ურიცხვია ლოზუნგები, მოედნებს რომ მოსდევენ
და ყოველ მხრივ ახალგაზრდებს მედგრად მოუწოდებენ,
რომ იბრძოლონ, როგორც ითხოვს მძლე სახელი
გმირისა,
განამტკიცონ ძლიერება საბჭოთა კავშირისა!
გაზაფხული მთელ ქვეყანას ესალმება რტომრავალს:
— გაუმარჯოს პირველ მაისს, მთელი ქვეყნის მომავალს!

ეროვნული

პროლოგი 100 ლეძსის

რა საოცარი დასრულდა წლები!
მეფეთა წყება გაჰქრა, ვით ლანდი,
მოშორდნენ ტახტებს ვილჰელმი, კარლოს,
ნიკოლოზი და ფერდინანდი,
მაგრამ მწუხარედ მათზე კი არა,
სხვაზე იფიქრებს მარტიროლოგი:
იმ მრისხანე წელს — პოეტი მეფე —
გარდაიცვალა ალექსანდრ ბლოკი.
ჰანგების მეფე — დიდი სენ-სანსი
და დირიჟორი ნიკიში მძლავრი...
ეკლიან გზაზე დაეცა ბევრი,
მხოლოდ მე ერთი გადავრჩი მგზავრი,
რომ გამომევლო ჯერ არსმენილი
ქარტეხილები ცეცხლთა ფენისა
და მომეტანა საქართველოში
სიმღერა ქვეყნის გადარჩენისა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანამ არ დამსხვრეულან

სანამ არ დამსხვრეულან
ქნარები და არფები,
ლირიული განდგომის
სიმებს დავეხარბები.

სანამ არ გადამჭკნარან
ბაღში ვარდთა ბარდები,
მიწავ, ნუ გეცოდები,
ცაო, ნუ გედარდები.

კოშკი ჩემი მაღალი
ადის დროთა ქროლამდის,
მას მრავალი ბურჯი აქვს:
ყველა მხოლოდ ფოლადის!



რვა მარტი

რა მწარე იყო წარსულისადმი
უკანასკნელი შენი თაყვანი,
შენს სიყმაწვილეს სიბერე სცვლიდა—
თავისუფლების შვილის აკვანი.
რა რიგ ბადებდა უიმედობას—
უუძველესი ოჯახის ჟინი,
საკუთარ რწმენას ქმარი გართმევდა
და საკუთარ გულს ბავშვის ტიტინი.
ეხლა (როგორი დაგვიანებით!)
დრომ მოგაგონა შენ შენი ვალი:
ხარ თანაბარი ადამიანი,
უფლებიანი მშრომელი ქალი.

ჩემო სიმღერავ, მაღლა, სულ მაღლა!

მუდამ ახალი იწყე ცხოვრება,
ახალი სხივი ედება არეს,
ნუ დაენდობი სიტყვებს უმიზნოს,
არა ერთს მოგცემს ის სიმწუხარეს.
წარსულისაგან კვლავ დაიბრუნე
შენი მარადი თანამგრძნობელი—
ჩემო სიმღერავ, მაღლა, სულ მაღლა,
როგორც ცხოვრება, როგორც სოფელი.
უსრულო საზღვარს გადააცილე
შენი ამაყი სულისკვეთება,
მეტი მზის სხივი შემოგეხვევა,
მეტი ნათელი შემოგედება.
რა ზღვისფერი და კარგი დილაა,
ამწვანებულო ტყეთა დალალო,
სიმღერაც დილის სინამდვილეა,
ღამისთვის მკაცრი და სავალალო.

ეროვნული ბიბლიოთეკა



არგონავტები ახალი დროის

იქ, სადაც მთანი დარაჯად დგანან,
ბიბინი გააქვს ზურმუხტის ჭალებს,
სადაც არწივი მწვერვალებიდან
დიად ბუნებას ხარბად თვალს ავლებს,
სადაც ფაზისი მოქუხს და გრგვინავს—
ხან მკაცრი, ხანაც დაღონებული,
დიდი ხანია შრომის ხახლი დგას
ძებნათა ეშხით დამონებული,
დრომ რომ წაიღო უბოროტესმა,
აქ საწმისია იმ ოქროისა,
მოვდივართ ახალ ალმოჩენისთვის
არგონავტები ახალ დროისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მწვერვალები ახალი მთებისა

კავკასიის მაღალ მთებზე
მიდიოდნენ სვანები,
ეხვეოდნენ ბილიკებად
გზები დანაქანები.

შუალამე რომ გადვიდა,
ერთი რაზმი, ვეება,
დაეწია დაღლილ მგზავრებს
და სასტიკად შეება:

რა დრო იყო და რა მტრობა,
დადგა სისხლის ფეშხუმი,
გადიკიდნენ აქ სვანეთი,
იქით — რაჭა-ლეჩხუმი.

ჰოი, სარგის ჯაფარიძე,
ულმობელო ჯაფარა,
შენმა ჯარმა ყველა გზები
ჩაჰკეტა და დაჰფარა.

შვიდ წელიწადს შვიდი კუთხე
რატომ უნდა ჩაჰკირო,
ვეღარ მიდის სამუშაოდ,
ვეღარც საჯამაგიროდ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შვიდ წელიწადს არ უნახავს
სვანეთს გემო მარილის,
მერე მთლად რომ გაუჭირდათ,
მუდამ ასე არ ივლის...

ეს დიდი ხნის ამბავია,
იგრძნეს რა ერთმანეთი,
დამშვიდებულ შრომით მოდის
იმ მთებიდან სვანეთი.

გზები გაჰყავთ. ჟრიამული
ცეცხლად შემოსდებია,
ყველგან, სადაც მიუვალი
და ულრანი მთებია.

შეერთებულ შრომას მღერის
ნისლები რომ ეხურა,
ხანისწყალი, გუბისწყალი,
ცხენისწყალი, ტეხურა.

შეერთებულ ძალას, შრომას
მღერის ვით მაყრიონი—
ლიახვი და ალაზანი,
ჭოროხი და რიონი.

შეერთებულ შრომას მღერის
ჩანჩქერების მარაგი,
ნატანები, იმერხევი,
ენგური და არაგვი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაშავერი, მტკვარი, ქსანი,
ალაზანი, ძირულა,
აქ მრავალი ათასი ხმა
ერთად გადაკირულა.

მთებო! დასწვით ძველი შავი
ახალ დროის სიალედ,
თავისუფალ მწვერვალების
დროშა ააფრიალეთ!



იბოგოქრე

იბობოქრე, ცხოვრების ზღვავ, ჩემს ირგვლივ,
იბობოქრე, მე რა უნდა დამაკლდეს!
პიტალო კლდეს რას დააკლებს ზღვის ტალღა,
რას დააკლებს ზვირთი გამობრძმედილ კლდეს?

ბევრგვარ გრიგალს გადუვლია ჩემს გულში,
ბევრს ქარიშხალს ურბენია ქვითინით...
ბევრი ტალღა აღტყენილა გარშემო,
დავუსჯივართ შურით, ეკლის გვირგვინით.

ბევრჯერ ჩემი იალქანი დაშლილა,
არ მჯეროდა თუ სადმე გამიყვანდა,
ბევრჯერ, ბევრჯერ მწარედ ავტირებულვარ,
როცა შველა არსაიდან არ სჩანდა.

ყველაფერი ამ ბრძოლაში დავღუპე:
იმედები, უმართლობის მხილება...
რაც დავკარგე, ხომ დავკარგე სამუდამოდ,
დამრჩა მხოლოდ მწარე გამოცდილება.

და რაც დამრჩა—მას ვერავინ წამართმევს,
უიმედოს, ბედისაგან განამეტს,
და ვიბრძოლებ სტიქიური გულისთქმით,
რაც დავკარგე, რას დავკარგავ იმის მეტს?

იბოგბოქრე, ცხოვრების ზღვავ, ჩემს ეროვლიგ
რას გახდები, ან რა უნდა დამაკლდეს?..
პიტალო კლდეს რას დააკლებს ზღვის ტალღა,
რას დააკლებს ზვირთი გამოგრძმედილ კლდეს?...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ს ა მ შ ო ბ ლ ო

ჰე, მამულო! გრძნობა შენი მოვლისა,
მარად ყველა ჩვენთაგანის ვალია.
სანამ გმირმა შენთვის სული დალია—
სთქვა: „სამშობლო უპირველეს ყოვლისა!“

არ მოშიშარს ქარისა და თოვლისა,
ყოველ ჩვენგანს ურყევ მიზნად ექნება
მხოლოდ შენთვის თავდადების შეგნება:
მამულს გული!—უპირველეს ყოვლისა!

მზე ჩაჰქრება ყველა სისხლისმწოვლისა,
მზე ამოვა ყველა დაჩაგრულისა,
წამლად იქნას ყოველ დაჭრილ გულისა
გამარჯვება—უპირველეს ყოვლისა!

დე, ბრწყინავდეს დროშად თვითეულისა
საქართველოს მკერდი ორდენოსანი,
მისი მიწა, მისი მზე სხივოსანი,—
ის გვიყვარდეს უპირველეს ყოვლისა!

ეროვნული

რას იპოვი აქ, საზღვარგარეთ

რას, რას იპოვი
აქ, საზღვარგარეთ,
რომ ის ჩასთვალო
მზეთა და მთვარედ.
არ ღირს მსოფლიოს
მთელი სიმდიდრე
ერთ გაქროლებად,
სამშობლო მხარედ.

იქ ხომ გზა ცრემლით
არ ინამება,
არც სივრცეებზე
სწუხს შელამება.
ჩვენში არც მწარე
მარტოობაა,
არც სასიკვდილო
არის წამება.

სტუმართმოყვარე
ჩვენ გვაქვს სახლები,
მათ ხალისიან
ლიმს ეახლები;

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დეე შორიდან
კიოდეს ჭოტი
და თავგადაკვლიო
ყეფდეს ძაღლები.

შენი გზა ცრემლით
არ ინამება,
არც სივრცეებზე
სწუხს შეღამება.
დიდი ხანია,
გათენდა, გულო,
დიდი ხანია
გაჰქრა წამება!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხოვრება ჩემი

ცხოვრება ჩემი უანკარეს ღვინის ფერია,
იგი ელვარებს საბოლოოდ, დაშრება ვიდრე,
მასში დიდება პოეტისა მე დავიმკვიდრე,
რომლის გარეშე უკვდავებაც არაფერია.
თეთრი დღეების ისევ ისე მიყვება დასი,
არ მომწყინდება სადღეგრძელოდ ავწიო თასი
თქვენი, რომელთაც გატაცება... მხოლოდ ჟინია.
მე არც წარსულის, არც მომავლის არ მეშინია.

ეროვნული

ქ ა ლ ა ვ

გულო, ოცნებას მალავ.
ცაო, ლურჯდება ზოლი.
ვ ა ჟ ი: — დაიცა, ქალავ!
ქ ა ლ ი: — დაგიბრმა თოლი
შორით ბრუნდება წყალი,
ნისლი იცრება მთაში.
— არა, — ჩურჩულებს ქალი.
— კარგი! — ამშვიდებს ვაჟი, —
თუნდა წაიყვა ჯოგი,
კიდენ დამრჩება მრავალ,
ბროლ-ღიკილასაც მოგი,
როცა ქალაქში ჩავალ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზ ე რ ი გ ე ბ ა

ტოტებს ქარისას გადაჰყვა მარტი,
თეთრ ტანსაცმელში მე მოვირთვები
და წავალ ქარში, როგორც მოცარტი,
გულში სიმღერის მსუბუქ ზვირთებით.

დღეს ყველგან მზეა, ეხლა ამ ბაღებს
და მყინვარს მაღალ ზრახვათა მეფეს,
მაისი ალით ააზამბახებს,
ვით შეყვარებულს და მეოცნებეს.

ჩვენ გვირგვინები გვაქვს ოდნავ მსგავსი,
ლამაზი შუქის მარადი ნთებით:
მე — მსუბუქ დაფნის ფოთლებით სავსე,
მყინვარს—უმძიმეს იაგუნდებით.

ამაღლდი, სულო, თეთრ აკლდამაზე
მშვენიერების ლექსით მქებელი:
დღეს ყველგან მზეა და სილამაზე
სიკვდილთან ჩემი შემრიგებელი!



დროშები მაღლა, სულ მაღლა, მაღლა!

ვინ უნდა იყოს
ისე მზიანი,
როგორც საბჭოთა
ადამიანი?
ვინ არის ჩვენებრ
თავდადებული,
ჩვენებრ ამაყი,
ჩვენებრ სვიანი?
დროშები მაღლა! მოგროვდეს ყველა,
ოცდაათი წლის მზეა ვარვარა.
მსოფლიო მისგან მოელის შველას...
დროშები ჩქარა,
დროშები ჩქარა!

მშენებლობაა
ლაღი, მზიური
და ემატება
აგურს აგური.
მხარეს ეკუთვნის
საქმე დიადი
და სიტყვა წრფელი,
ამხანაგური.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროშები მაღლა! მძლავრი და სრულიერ,
წინ ერთა ძმობა მიგვიძღვის ახლა.
ოქტომბრის სხივით განათებული
დროშები მაღლა,
დროშები მაღლა!

ვმღერით სიმღერებს
მძლავრსა და ხმოვანს,
სიმღერა ჰშვენის
მხარეს—ხელოვანს.
სიცოცხლეს ვუმღერთ
მხოლოდ მშვენიერს
და ვგმობთ სიცოცხლეს
არსახელოვანს.
დროშები ცამდის! დიდება სტალინს!
გვახსოვდეს ფიცი ლენინისადმი.
გრდემლით და ნამგლით, ჩანგით და ხმალით—
დროშები ცამდის,
დროშები ცამდის!

მას ემონება
მკლავი, გონება;
ბრძოლაა, შრომა
თუ ხელოვნება
დიადი მიზნით
მიმავალ გზაზე
ჩვენი ფარია
ერთსულოვნება.
დროშები ხალხის, ამაყი რხევით
მიისწრაფება მრავალი ტალღის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სიმართლისათვის ფრიალებს ზევით
დროშები ხალხის,
დროშები ხალხის!

არ სცხრება მტერი
ქცეული ჟინად,
მაგრამ ჩვენ კლდე ვართ
ისე, ვით წინათ.
ძირს იგი ომი!
მაგრამ თუ ატყდა—
ქვეყნისთვის ომი
მიგვაჩნდეს ლხინად!
დროშებში სჩანან მთანი და ტყენი.
შეგნების ჟამად არ არის დაღლა.
ვადიდოთ ყველამ სამშობლო ჩვენი,
დროშები მაღლა,
მაღლა, სულ მაღლა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეფინება სიხარული

გაზაფხულზე ყვავილები
იმღერიან ქებათ-ქებას
და ნაკადიც უზრუნველად
მოიმღერის გამარჯვებას.
ყველაფერი, ყველაფერი
მაისისას ერთვის ჰიმნებს,
ეფინება სიხარული
მრავალ ვარდებს და გვირგვინებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ალტაცებას იმედისას და მსოფლიო გამარჯვებას

დღეს მებალემ სარებს ვაზი
მიაკონა, მოაკონა,
მზემ მიდამოს მშვენიერი
გაზაფხული მოაგონა.
ახმაურდეს ყველა ჩანგი
და გამძაფრდეს გულთა ძგერა,
ვერ დამაცხრობ, ვერ დამძალავ,
ვერ გამისწრებ, ვერა, ვერა!
მაინც ვიცი, მაინც ვიცი,
ვერაფერი შესცვლის შვებას,
აღტაცებას იმედისას
და მსოფლიო გამარჯვებას!

ეროვნული ბიბლიოთეკა

არხევს ახალი სიცოცხლის აკვანს

ეს გაზაფხული გამძაფრებული
პატიმრობისას გაარღვევს საკანს,
გახარებული ხელის კანკალით
არხევს ახალი სიცოცხლის აკვანს.
გაცოცხლებულა ირგვლივ ყოველი,
მფეთქავი ძალა არეს ჰფენია,
სულ რომ არ იყო ქვეყნად ღიმილი,
შეხედე, ეხლა რაოდენია!
მჩქეფარე წყაროს, ამოყრილ ხეებს,
მათ განახლებას ეუბნება ბანს.
ეს გაზაფხული უხარებს დღეებს
და არხევს ახალ სიცოცხლის აკვანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნუ მიატოვებ ლექსს უთვისტომოდ, დროის, ეპოქის და სივრცის გარეთ

არა თუ წლები გადეშვა ტყდომად —
წამიც კი გატყდა და რეკავს ცხარედ;
ნუ მიატოვებ ლექსს უთვისტომოდ,
დროის, ეპოქის და სივრცის გარეთ.
ბევრი მიეცა ტალახსა და ლექს,
ბევრის ნაბიჯი არის ტაატი.
დრო, დრო აღნიშნე! მოაწერე ლექს —
ეს წელიწადი, დღე და საათი.
არა თუ წლები გადიქცა ტყდომად,
ყოველი ლექსის ყოველი პწკარი
არის გაჭრილი კლასიურ ომად,
არის ეპოქის დროშის ქვეშ მდგარი,
ეპოქა არის ნამგლის, ჭურების,
ეპოქა, რამაც ძველი შეთოკა,
ეპოქა ძველის განადგურების,
ინდუსტრიალურ დროის ეპოქა.
ამ გარდატეხის ათეული წლის
ჩვენთა მიღწევათ მოანგარიშე,
წერტილი რაა, სტრიქონი—ისიც,
ისიც არ უნდა დარჩეს გარეშე.

ყველამ შეტევა და შეძახება
ერთ მეექვსედის ხმალთან დალესოს,
როცა ეპოქა დაეჯახება
კარებს მსოფლიო კაპიტალისას.
არა თუ წლები გადეშვა ტყდომად,
წაბიც კი გატყდა და რეკავს ცხარედ,
ნუ მიატოვებ ლექსს უთვისტომოდ,
დროის, ეპოქის და სივრცის გარეთ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

გგზავრის სიმღერა

თავგანწირულად მინდორ-ველად
მიმაფრენს ცხენი.
გაზაფხულია... სიო დაჰქრის
კიდითი-კიდე;
მზე სხივებს აფრქვევს ქვეყანაზე
შვების მომფენი,
არე-მიდამოს ღვთაებრივი
ატკბობს სიმშვიდე.
ამ სიმშვიდეში მე ვერ ვპოვე
ვერც სიტკბოება,
ვერც რამ ისეთი სასიცოცხლო
და სანეტარო.
დაჰქროლე, ქარო! მე არ მიყვარს
ეგ მყუდროება,
მე ქარიშხალთან შებმა მინდა,
დაჰქროლე, ქარო!



აწმყოს დიდება დიდი

ჩემო ლექსებო, მარად
გქონდეთ მსუბუქი ფრთები...
აყვავებული მდელო,
გასაოცარი მთები!
რუსთაველი და მშვიდი?
დამშვიდება და ვაჟა?
აწმყოს დიდება დიდი
და დღეს მომავალს — ვაშა!

ჩვენი სტალინის მარად
ძლევამოსილი დროშით
წინ, ახალ-ახალ ნათელ
გამარჯვებისკენ, მხარევ!
განადგურებულს ძველი
ყინვით, სუსხით და თოშით,
აწ მარგალიტად გთვლიან,
სხვა ქვებში რომ ვერ გარევ!
გალაკტიონი ხედავს,
რა სასწაულებს ახდენს
ის გამარჯვება, რითაც
სუნთქავს მშობელი ერი.
იმ უბოლოოდ მედგარ
და საიმედო საყრდენს —
წინსვლას, რომელსაც ვერ სძლევს
ვერავითარი მტერი!

* *
*

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წყალტუბოდან ქუთაისში
მიმავალო ქარო,
თუ მაისის ქუთაისმა
გკითხოს — ვინა ხარო,
უპასუხე — რომ სუნთქვა ხარ—
არ უთხრა კი — ვისი,
ისეც იგრძნობს ქუთაისი,
ჩემი ქუთაისი!

პოეზიის ინტეგრალები

ლურჯ ფანჯრებს იქით, ოცნებაო,
სიმძლავრით დგება
სამშობლოს ჩემის ხმაურობით
სავსე ცხოვრება.
მე კი ვუზივარ ისევ წიგნებს,
ვებრძვი ყოველ წუთს,
ვებრძვი და ვიპყრობ მასალათა
სიმძლავრეს ჯიუტს.
როცა უბრალო სიდიდეთა
რჩება რკალები,
უმაღლესი გზა წინ მეშლება:
ინტეგრალები.
რთულ ინტეგრალებს მე ვადარებ
ეხლა მეორეს —
მსგავსებას მათსა და პოეტის
ცხოვრებას შორის.
მას ხომ ჯერ ისევ ბავშვობის დროს,
დიდი ხნის წინათ,
სიტყვებთან ბრძოლა და დაძლევა
ჰქონია ჟინად.
ეხლა კი მის წინ გაიშლება
ფერნაალები —

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უმაღლესი გზა: პოეზიის
ინტეგრალები!
ინტეგრალები! სიმებს მარად
ესახსოვრება
სამშობლოს ჩემის ხმაურობით
სავსე ცხოვრება.



განახლდა გული

განახლდა გული... დღეს ის აღარ ვარ,
რაც უწინ ვიყავ... ფერი ვიცვალე...
გზა დამიცალე, შავო ბურუსო,
წყეულო ღამე, გზა დამიცალე!
წინ ვივლი, სანამ დავმიწდებოდე,
ბედს კი მაინც არ შევურიგდები.
წინ ნუ მიხვდები, შავო ბურუსო,
წყეულო ღამევ, წინ ნუ მიხვდები!
ნუთუ არ მეყო, რაც დასაბამით
გაუნელებელ ცეცხლში ვეწვალე?
ჩამომეცალე, შავო ბურუსო,
წყეულო ღამე, ჩამომეცალე!
ვივიწყებ წარსულს... ჩემს სიყმაწვილეს
გამოთხოვების ცრემლებს ვაპკურებ,
გავანადგურებ ხელის შემშლელ ნისლს,
წყეულ ღამესაც გავანადგურებ...
წამების ცეცხლში განახლდა გული,
ფერი ვიცვალე, ფერი ვიცვალე,
გზა დამიცალე, შავო ბურუსო,
წყეულო ღამე, გზა დამიცალე!

ეროვნული

მეცხრე სიმფონია

სად ზღვის ქავლებია,
ყვავილთა მთოველი,
კვლავ ვხვდებით ერთმანეთს
მე და ბეთჰოვენი.

ოცნება მგონია,
სიზმარი მგონია...
ქართული მოტივი —
მეცხრე სიმფონია...

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა წარმტაცი ხარ, რა დიდებული!

ყვლავ მიხარია ძველი კორდიდან
რიონის ზვირთთა თვალის დევნება,
დაუცხრომლობა გაზაფხულისა
და ფერადების აშადრევნება.
რაღაც ახალის და კარგის ნახვით
ამიღელდება იმედით გული.
ო, მომავალზე მიმდევნო ფიქრო,
რა წარმტაცი ხარ, რა დიდებული!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხტანსაბი

ვდარაჯობ იმ დროს, როცა ძილიდან
გამოგაღვიძებს სულის მუდარა,
რომ ხალხს ადგილი ექნეს იმ გულში,
ჟამმა ხანჯალი რომ გაუტარა.

მიჰქრიან დღენი. გული არ გვწყდება,
რომ რაც გვჯეროდა, დღეს აღარ გვჯერა,
თვალთ დევნებაში არ გვენანება
ის აღმაფრენა, ის გულის ძგერა.

ცხოვრებისათვის ძველ აღმაფრენით,
საუკეთესო ახალში ვცხრებით.
ვიპოვეთ გზები და ამ ღრმა რწმენით
სიცოცხლისაკენ მივეშურებით.

ვიპოვეთ ქვეყნად ჩვენ მეგობრობა
და სიყვარულით გამთბარი სხივი,
თანამედროვე ცხოვრების გრძნობა,
მუდამ მართალი, მუდამ ხანგრძლივი.

ნუთუ ღირს დროთა კვლავ მოგონება,
წარსული წყლული რომ განიახლო?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არ გიცხოვრია შენ ქვეყანაზე,
შენ გაიარე სიცოცხლის ახლო.

შენ აარიდე ყველაფერს თვალი,
არ დაგინახავს წრფელი ღიმილი,
ყველაფერს ირგვლივ, რაც კი რამ გერტყა,
შენ დასცინოდი მშვიდი, გულგრილი.

სასწაულს რასმეს ელოდა სული,
გიჟურ ფიქრებით იკლავდი შენ თავს,
შენ გაიარე სიცოცხლის ახლო
და სიცოცხლისთვის არ შეგიხედავს.

ყველაფერს მისწვდი შენს სიცოცხლეში,
ბედნიერებით სიცოცხლის გარდა.
რომ ზრომა არის ბედნიერება
ვერ იგრძენ, ისე დაეშვა ფარდა.

ძველი ქვეყანა! ნიშნად იმისა,
რომ მკაცრი იყო შენი სიმრუდე,
შენს იდეებში ობობა ხლართავს
ქსელს და მიკიოტს ჩაუბამს ბუდე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შრომა მეცნიერებასთან მჭიდროდ დაკავშირებული

გზას უკაფავს
ჩვენს ქვეყანას
ოცი წელი
დიდებული
შრომა,
მეცნიერებასთან
მჭიდროდ
დაკავშირებული.

მოიფინა
ახალ სხივით
ჯურღმულები,
ხაროები,
და აღმოსკდა
დიდი ცოდნის
ულეველი
წყაროები.

დანატრული
ათასობით
მან მწყურვალე
დაიწაფა —

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მხარე წიგნთან
    კავშირშია,
გამახვილდა,
    დაიძაბა.

სიამაყე
    აღუვსებს გულს
სწავლა-ცოდნის
    კორიფეებს,
სხვებთან ერთად
    რომ მჭედელი
გასაოცარს
    აღწევს დღეებს.

ინდუსტრია,
    კოლექტივი —
ეს საბრძოლო
    სიტყვა სწავლის —
სძლევს ყოველგვარ
    დაბრკოლებებს,
და ეკუთვნის
    იგი სტალინს.

გზას უკაფავს
    ჩვენს ქვეყანას
ოცი წელი
    დიდებული
შრომა,
    მეცნიერებასთან
მჭიდროდ
    დაკავშირებული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ჩანგო, ბევრი კარგი დრო

ჩანგო! ბევრი კარგი დრო
ქვეყნად გვიტარებია,
მძიმე, ძველი ცხოვრება
ჩალას გვიდარებია.

ჩანგო! ჩვენ ხომ ხალხისთვის
ბრძოლა არ გვზარებია.
მოღრუბლულხარ, ეშხითაც
გამოგიდარებია.

ასი, ასი და კიდევ
ას სიმღერის ხმებია,
რაც კი თვალს დაუნახავს
და გულს გაჰკარებია.

ჩანგო! ბევრი კარგი დრო
ერთად გვიტარებია!

* * *

საღამოს მთების, დღისით ზღვაური
მოჰქრის ზაფხულის ზეფირი ხშირი —
თვლემს მწვანე კონცხი, მახინჯაური,
თვლემს ქობულეთი და ციხისძირი.

აქ თვითეული მომწვანო კორდი
სდგას მშვენიერი და თავმომწონე,
როგორც მომავლის მქონე კურორტი,
უდიადესი მომავლის მქონე.

ვერ შეაჩეროს მთებმა მაღალმა,
გზა მიდის, როგორც სარკე კრიალა,
და ეს-ეს არის ახალთახალმა
ავტომ მის ხიდზე გაიგრიალა.

ძვირფასო მხარევ! რა დიდებული
ალერსი არის შენი მთა-ბარი:
დაღლას რომ იგრძნობს პოეტის გული,
ხარ მისი მყუდრო თავშესაფარი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

წამყე ბეთანიისაკენ

წამყე ბეთანიისაკენ. იქ სადღაცა, ახლომახლო
იყო ორბელიანების
                და ირაკლის სამოსახლო.
გზაზე სადღაც ცაცხვებია და მუხნარი უმეტესი,
არსად ქვეყნად არ მინახავს
                ადგილები უკეთესი.

მოდი, სადმე უდაბური ვპოვოთ კუთხე ქედ-მომაღლო—
გადმოვხედოთ მაღლით ტფილისს.
                მე აქ უნდა დავესახლო,

ადგილები, ასე მშვენი ვარდისაგან, იისაგან —
სანადირო ადგილები...
                წამყე ბეთანიისაკენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიყვარს მარტო ქარიშხალი

მე ცის ვარსკვლავს არ შევნატრი, განთიადის შუქით ძლეულს,
მოსწყენია საწყალს ცაზე, უიმედოს, ფერმიკეულს.
არ შევნატრი ყომრალ ღრუბელს, ცას რომ ფარავს ფრთატივტივა,
ასტკივდება ხოლმე გული და ცრემლები სცვივა, სცვივა.
მე ზღვის ტალღას არ შევნატრი, კლდის ნაპრალს რომ ეტმასნება,
თუ მშვიდია, არ აქვს გული და აღარ აქვს ცეცხლის ვნება.
მიყვარს მარტო ქარიშხალი, თვალუწვდენელ ზღვიდან ზღვამდე,
მთიდან მთამდე, ციდან ცამდე თავისუფლად მონავარდე!
მიყვარს იმის ნანგრევებზე ახალ გრძნობით შვება-ლხენა,
მასში ცოცხლობს ფიქრთა ჩემთა იდუმალი აღმაფრენა!

ეროვნული

რა იყო შენი ბავშვობა?

აბა, რა იყო შენი ბავშვობა:
მამა არ გყავდა, დედა არ გახსოვს...
არც სიყმაწვილე, არც თამაშობა,
სულ სიღარიბე გართმევდა სასოს...
გყავდა გამდელად ქუჩა, ის გზრდიდა.
საკუთარ სახლად მას უცქეროდი,
როცა ეს ბინაც მწარედ გდევნიდა
და შენ მომავალ ბრძოლებს მღეროდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე და ღამე

ეხლა, როცა ამ სტრიქონს ვწერ, შუაღამე იწვის, დნება,
სიო სარკმლით მონაქროლი, ველთა ზღაპარს მეუბნება.

მთვარით ნაფენს არე-მარე ვერ იცილებს ვერცხლის
საბანს,
სიო არხევს და ატოკებს ჩემს სარკმლის წინ იასამანს

ცა მტრედისფერ, ლურჯ სვეტებად ისე არის დასერილი,
ისე არის სავსე გრძნებით, ვით რითმებით ეს წერილი.

საიდუმლო შუქით არე ისე არის შესუდრული,
ისე სავსე უხვ გრძნობებით, ვით ამ ღამეს ჩემი გული.

დიდი ხნიდან საიდუმლოს მეც ღრმად გულში დავატა-
რებ,
არ ვუმჟღავნებ ქვეყნად არვის, ნიავსაც კი არ ვაკარებ.

რა იციან მეგობრებმა თუ რა ნაღველს იტევს გული,
ან რა არის მის სიღრმეში საუკუნოდ შენახული.

ვერ მომპარავს ბნელ გულის ფიქრს წუთი წუთზე უამესი,
საიდუმლოს ვერ მომტაცებს ქალის ხვევნა და ალერსი;

ვერც ძილის დროს ნელი ოხვრა და ვერც თასი ღვი-
ნით სავსე,

ვერ წამართმევს მას, რაც გულის ბნელ სიღრმეში მოვათავსე.

მხოლოდ ღამემ, უძილობის დროს სარკმელში მოკამკამემ,
იცის ჩემი საიდუმლო, ყველა იცის თეთრმა ღამემ.

იცის — როგორ დავრჩი ობლად, როგორ ვევნე და ვეწამე,
ჩვენ ორნი ვართ ქვეყანაზე: მე და ღამე, მე და ღამე.



შენ ზღვისპირად

შენ ზღვისპირად მიდიოდი, მერი.
სხივქვეშ თრთოდა შენი ნაზი ტანი.
და გფარავდა მწვანე სუროს ფერი,
ცაცხვისა და ალვის ხეივანი.
შენს ღიმილში მწუხარების ჩქერი
მოულოდნელ სიყვარულად ვცანი,
როგორც მთვარის შუქი ალმაცერი,
როგორც სიოს უცხო მიმოხვრანი.
ამ ღიმილში კარგი, მშვენიერი,
გამოკრთოდა სევდა-კაეშანი,
როგორც სხივზე ყვავილების მტვერი,
ცისკრის ნამით თრთოლვილ განაბანი.
იმ ღიმილზე, იმ სევდაზე ვმღერი,
ბანს მაძლევენ ყვავილნი და მთანი.
მერი, ჩემო, შორეულო მერი,
შენსკენ მოჰქრის ბედის იალქანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღ ე ლ ა ვ დ ე ნ

ვარდებში ღელავდენ ლამაზი ქალები,
მათ უყვართ ჩურჩული და მიეთ-მოეთი...
ამბობდენ: ამურებს ვერ დაემალები,
თუნდ იყო პირველი და დიდი პოეტი.
ძვირფასო ქალებო! არ მოგერიდებით,
ერთს თქვენგანს ეკუთვნის სულ ჩემი წიგნები,
ნეტავი დამათრო მის ბროლის თითებით:
პირველი და დიდი გენია ვიქნები!



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემი ვარსკვლავი

ჩემი ვარსკვლავი, სატრფოო, ცის თაღზე შუქად რომ
ადის
შენი ღიმილის შუქია, გამათბობელი მარადის.
ჩემთვის სიმღერა, შვენებავ, შენი ხმა არის ნარნარი,
დიდება სიყვარულისა, ცის სამსხვერპლოზე დამდნარი.
და მე, შენს მგოსანს, იქ ძალმიძს მარადჟამს ვიბედ-
ნიერო,
იქ ძალმიძს მხოლოდ ვიცოცხლო, სადაც შენა ხარ,
ციერო,
და, რაც კი ქვეყნად ამ ჩემს თვალს უეცრად მოეჩვე-,
ნების,
მარტოდენ ანარეკლია მაგ ღვთაებრივი შვენების.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაინც დავიმსახურე

მთვარემ ღამე გაათია, კრთება შუქთა დინება,
ღამის სამი საათია, შენ კი არ გეძინება.
გავაცურეთ სადღაც ნავი, სავსე ლურჯ ექსცესებით,
შეგაყვარე კიდეც თავი ამ უბრალო ლექსებით.
ეფინება გზებს სიმებად ლალთა ცეცხლი, საყურე,
შენი კარგი გალიმება მაინც დავიმსახურე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ატმის ყვავილები

რტოებში ავობს ბებერი ქარი,
ყვავილთა ჯარი ფიფქით ბანაობს,
ტყდება, ნანაობს ეთერი ჩქარი,
ნანაობს ქარი და მიქანაობს.

და ქარი შეხვდა ატმის ყვავილებს,
ვარდისფერ ღილებს შეატყო ჟრჟოლა,
ფრთა დაატოლა გაუშლელ ღილებს,
დაწვდა ბილილებს და აათრთოლა.

ატმის ხე იდგა თაიგულივით,
იქ მას მილევით უთრთოდა სული!
შორით მოსული გაზაფხულ სხივით
და ნამთა მძივით გარემოცული.

ატმის ხე იდგა ვით ნაზი ქალი,
ვით დედოფალი უცხო მხარეში;
სინარნარეში სწვავდა მზის ძალი,
და გრძნობათ ალის სიმწუხარეში.

ატმის ხე, შლილი, ოცნებას ჰგავდა,
როცა ღელავდა მზით აღფურვილი,
მე მისი ჩრდილი ხშირად მხიბლავდა
და ხშირად მწვავდა ტრფობის სურვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაგრამ ეწვია ატმის ხეს ქარი
და ფრთა მედგარი შემოახვია,
ახლაც ატყვია ხეს განაბზარი,
ყვავილთა ღვარი რომ დააფრქვია.

როგორც პეპლები მშვიდი და ფრთხილი,
შემდეგ აშლილი და აფრენილი —
გადაცვენილი ატმის ყვავილი
იყო დაღლილი და მოწყენილი.

ოცნებათ რიგი თვალს მიეფარა!
მტვრით გაისვარა წყალთა ლიკლიკი,
ყვავილი იგი მოკვდა და ჩქარა
წითლად დაფარა ბაღის ბილიკი.

ბაღის ბილიკზე მივდივარ და თან
გაძრცვნილ ატამთან ზღვები გროვდება,
საღამოვდება და მზის ჩასვლასთან
თანდათან მწუხრი მიახლოვდება.

მე აღარ ვდარდობ... რა მსურს, რას ველი?
ვით მზის ნათელი და ღამის ჩრდილი,
მეფობს სიკვდილი — ჭკნობის სურვილი!
გაჰქრა სურნელი, დასჭკნა ყვავილი!

* * *

გაგონდება თუ არა,
კარალეთის დღეები,
მთების ლურჯი კამარა
უცხო სამოთხეები?
კიდევ შეგრჩა თუ არა
მხიარული თვალები?
თუ დრომ გადაუარა
და ჩაუქრო ალები?
მივდიოდით მხარდამხარ
და დრო გვეუარესა,
აწ არ ვიცი სადა ხარ
და რომელსა მხარესა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმღერე რამე

როგორ მიყვარდა! მაგრამ ხსოვნა იმ ტრფობის სრულის,
დარჩა ჩემს გულში წაუშლელი და მოკამკამე,
იმას იგონებს დაღონება დადაღულ გულის...
იმ სიყვარულის მიმღერე რამე!

ყმაწვილკაცობა, ყვავილები სიცოცხლის დილის,
ბურუსებს იქით გადიკარგა... როგორ ვეწამე!
ეხლა თავს მადგას ჭმუნვარება მომავლის ჩრდილის.
იმ სიყმაწვილის მიმღერე რამე!

დიდი მიზანი, ბრძოლა იყო ახალ დღეების,
არ დავცემულვარ, მაგრამ გესლით მე მოვიშხამე.
აი, ნაყოფი, ქარიშხლიან სიცოცხლის ვნების.
მე იმ ბრძოლების მიმღერე რამე!

ახალგაზრდათა ბრძოლის შემდეგ დაუძლურების
და წარუშლელი მწუხარების გავხდი მოწამე,
მოწამე გავხდი ცეცხლისა და განადგურების.
გემუდარები, მიმღერე რამე!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ს ტ ა ნ ს ე ბ ი

აქ დაიდგმება პოეტის ძეგლი,
ბავშვები მოვლენ შენი წიგნებით,
იქნება, ბევრი რამე იქნება —
მხოლოდ ამქვეყნად ჩვენ არ ვიქნებით.

ცხოვრებისაგან დაჭრილი ლომი,
ეხლა რომ ოხვრით შამბში ვარდება,
სხვა ისტორიის წინაშე მდგომი
აქ სხვანაირად აღიმართება.

ეხლა კი ხელი მივცეთ ერთმანეთს,
ხომ მოგვივლია ხმელეთი, ზღვები...
ოჰ, მომავალო, შენ ერთი მაინც
არ იტყვი, როგორც იტყვიან სხვები!

ეროვნული
ბიბლიოთეკა



მაღალ მთაზედა ავაგე
სასახლე ახალთ-ახალი

მაღალ მთაზედა ავაგე
სასახლე ახალთ-ახალი,
ლითონზე უფრო მაგარი,
პირამიდებზე მაღალი.

ხალხისთვის სამარადისო,
ღიაა მისი კარები:
მე მის უსაზღვრო სიყვარულს
და ნდობას დავემყარები.

მასში პოეტის უკვდავი
დიდება დაისადგურებს,
ვერც ცეცხლი ჟამთა სიავის,
ვერც ქარი გაანადგურებს.

მაღალ მთაზედა ავაგე
სასახლე ახალთ-ახალი,
ლითონზე უფრო მაგარი
პირამიდებზე მაღალი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ს ა რ ჩ ე ვ ი

	გვ.
ჩემი სიმღერა	3
ახალგაზრდობას	4
მშობლიურო ჩემო მიწავ	5
სამშობლოს	11
ლენინი	12
*** (მრავალჟამიერ გუგუნებდეს ხმა)	14
მამულო, სიცოცხლეო	16
სტალინი	17
ახალი ტფილისის დაფუძნება	20
*** (დღეევანდელი დღის)	22
ჩვენი მნათობი ცეცხლის ფერია	23
ეგ არის და გორის ციხე	25
მთელი ქართველი ხალხის სახელით	27
ჰიმნი მშვიდობას	30
იდიდე, სამშობლოვ	36
უკვდავი არის	38
დიადი წიგნი	40
მთელ მსოფლიოში რაც ატომია	41
ნაკადულო, ნაკადულო	42
წიგნი	43
ნერგი ევკალიპტის	44
ზღვაზე ბავშვების ბედნიერ სირბილს	45

დაუძლეველი 46
1950 47
ალმოსავლეთი 54
ეპოქა იშვა და გაიზარდა 59
ყველა წითელარმიელი იდგეს როგორც ლომი . 62
ჩვენი ჯარი ძლიერია, მაგრამ სხვა სიძლიერით . 65
რად გვინდა თავი ცოცხალი 67
შეხედე 70
მზე თვალებში ჩაგეწვეთება და თვალს სინათლე
მოემატება 71
ავტომობილი და ურემი 73
ყოველი მხრიდან 77
სალამი ახალგაზრდობას 79
პიონერო, იყავ ლირსი 81
დროშები ჩქარა 83
ტახტი დაეცა 84
ურიცხვ დროშებში 85
ჩვენ პოეტები საქართველოსი 86
რევოლუციონერის ხსოვნას 88
ჩვენ ავდიოდით სახრჩობელაზე 89
რამდენ ღამეს მოეღო ბოლო 90
იყო ბურუსი 91
გემი „დალანდი“ 92
საღლეგრძელო იყოს მისი 93
პირველი მაისი 94
პროლოგი 100 ლექსის 95
სანამ არ დამსხვრეულან 96
რვა მარტი 97
ჩემო სიმღერავ, მაღლა, სულ მაღლა! 98
არგონავტები ახალი დროის 99

მწვერვალები ახალი მთების 100
იბობოქრე 103
სამშობლო 105
რას იპოვი აქ, საზღვარგარეთ 106
ცხოვრება ჩემი 108
ქალავ 109
შერიგება 110
დროშები მაღლა, სულ მაღლა, მაღლა! 111
ეფინება სიხარული 114
აღტაცებას იმედისას და მსოფლიო გამარჯვებას. 115
არხევს ახალი სიცოცხლის აკვანს 116
ნუ მიატოვებ ლექსს უთვისტომოდ, დროის, ეპოქის და სივრცის გარეთ 117
მგზავრის სიმღერა 119
აწმყოს დიდება დიდი 120
*** (წყალტუბოდან ქუთაისში) 121
პოეზიის ინტეგრალები 122
განახლდა გული 124
მეცხრე სიმფონია 125
რა წარმტაცი ხარ, რა დიდებული 126
სტანსები 127
შრომა მეცნიერებასთან მჭიდროდ დაკავშირებული. 129
ჩანგო, ბევრი კარგი დრო 131
*** (საღამოს მთების, დღისით ზღვაური) . . . 132
წამყე ბეთანიისაკენ 133
მიყვარს მარტო ქარიშხალი 134
რა იყო შენი ბავშვობა 135
მე და ღამე 136
შენ ზღვისპირად 138
ღელავდნენ 139

ჩემი ვარსკვლავი 140
მაინც დავიმსახურე 141
ატმის ყვავილები 142
. (გაგონდება თუ არა) 144
მიმღერე რამე 145
სტანსები 146
მაღალ მთაზედა ავაგე სასახლე ახალთ ახალი . . 147

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი — ა. გაბესკირია.

გამომცემლობის რედაქტორი — ნ. ჩირაძე, მხატვარი — ვ. გრიგოლია, მხატვარი რედაქტორი — ეკ. ბალდავაძე, ტექრედაქტორი — მ. მეძმარიაშვილი

გადაეცა წარმოებას 20/IV-53 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 8/IX-53 წ. ნაბეჭდ ფორმ. რაოდ. — 9,75. სააღრიცხვო ფორმ. რაოდ. 4,5. ანაწყობის ზომა — 5 × 8. ქაღალდის ზომა — 54 × 84. შეკვ. № 522. ტირაჟი — 7.000. უე 06065.

საქპოლიგრაფგამომცემლობის 1-ლი სტამბა. თბილისი, ორჯონიკიძის ქ. № 50.

ეროვნული
ბიბლიოთეკ